



Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტული ცენტრი

სეზონობრივი თვითმფარველობის საჩვენებელი - 2010

პოლიტიკური პრაქტიკის ეკონომიკური საფუძველი



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პროექტი განხორციელდა ფონდ «ღია საზოგადოება საქართველოს» მხარდაჭერით

სარჩევი

1. წინასიტყვაობა	2
2. პროექტის „თემატური დებატების ორგანიზება პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ადგილობრივი არჩევნების გამჭვირვალობისთვის“ ანგარიში	2
2.1. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	3
2.2. დასკვნები და რეკომენდაციები	6
3. კითხვარი	8
4. პარტიების მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური ხედვები:	9
4.1. „ეროვნული საბჭო“	9
4.2. „თორთლაძე-დემოკრატიული პარტია“	10
4.3. ირაკლი ალასანია და „ალიანსი საქართველოსთვის“	20
4.4. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	34

2009 წლის დეკემბრიდან „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოსთან“ თანამშრომლობით და მისი მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „თემატური დებატების ორგანიზება პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ადგილობრივი არჩევნების გამჭვირვალობისთვის“. პროექტი მიზნად ისახავდა არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის თავისუფალი სადებატო სივრცის ორგანიზებას, არჩევნების მეტ გამჭვირვალებას და მათი ეკონომიკური პროგრამების წარმოდგენას.

2009 წლის დეკემბრიდან 2010 წლის ივნისამდე - ექვსთვიანი თანამშრომლობის შემდეგ საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა თვითმმართველობის პრობლემების ჩრილში, საბოლოოდ, ხუთმა პოლიტიკურმა ძალამ წარმოადგინა - „ეროვნულმა საბჭომ“, „ალიანსმა საქართველოსთვის“, „თორთლაძე - დემოკრატებმა“, „თოფაძე - მრეწველებმა“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“.

2 პროექტის „თემატური დებატების ორგანიზება პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ადგილობრივი არჩევნების გამჭვირვალობისთვის“ ანგარიში

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ერთობლივი პროექტი „თემატური დებატების ორგანიზება პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ადგილობრივი არჩევნების გამჭვირვალობისთვის“ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებისათვის თავისუფალი სადებატო სივრცის ორგანიზებას, არჩევნების მეტ გამჭვირვალებას და მათი პროგრამების წარმოდგენას ისახავდა მიზნად.

პროექტის „თემატური დებატების ორგანიზება პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ადგილობრივი არჩევნების გამჭვირვალობისთვის“ დაიწყო 2009 წლის დეკემბრის დასასრულს და დასრულდა 2010 წლის ივნისში.

პროექტის პირველ ეტაპზე მოხდა იმ ძირითადი პოლიტიკური პარტიების იდენტიფიცირება და მათთან მუდმივი კონტაქტის უზრუნველყოფა, რომლებიც აცხადებდნენ მზაობას, მიეღოთ მონაწილეობა, 31 მაისს დანიშნულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.

სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით პარტიათა პოზიციების ხშირი ცვლელადობის გამო არჩევნებში მონაწილე სუბიექტების საბოლოოდ გამოკვეთის პროცესი საკმაოდ გართულდა და გაჭიანურდა.

პოლიტიკურ პარტიებთან შეხვედრების და კონსულტაციების პარალელურად, მიმდინარეობდა არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პარტიებისთვის დასაგზავნი კითხვარის დადგენა და ჩამოყალიბება (იხ. კითხვარი ქვემოთ).

საბოლოოდ კითხვარის მოცულობა განისაზღვრა 11 კითხვით, რომლებიც მეტ-ნაკლებად მოიცავს თვითმმართველობების ეკონომიკური საფუძვლების და დამოუკიდებლობის, ფინანსურ-ეკონომიკური დეცენტრალიზაციის, თვითმმართველობათა ფინანსური მოწყობის (დონეების მიხედვით), ცენტრთან ურთიერთობის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს (კითხვარი ანგარიშს თან ერთვის).

სულ პროექტის განხორციელების განვლილი 6 თვის განმავლობაში კონტაქტი დამყარდა 18 პოლიტიკურ სუბიექტთან.

აქედან არჩევნებში მონაწილეობა საბოლოოდ არ მიიღო 5 პოლიტიკურმა სუბიექტმა:

- ▶ დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველო“ (თავმჯდომარე – ნინო ბურჯანაძე);
- ▶ საქართველოს ლეიბორისტული პარტია (თავმჯდომარე – შალვა ნათელაშვილი);
- ▶ პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“ (თავმჯდომარე – კახა შარტავა);
- ▶ „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ (ლიდერი – ირაკლი ოქრუაშვილი);
- ▶ პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“ (ლიდერი – ჯონდი ბალათურია);

რაც შეეხება იმ 14 პოლიტიკურ სუბიექტს, რომლებსაც გამოთქევს მზაობა, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში, მათთან დაიგზავნა შესაბამისი კითხვარი.

საბოლოო ანაგარიშით, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტებიდან კითხვარი შეავსეს შემდეგმა პოლიტიკურმა პარტიებმა:

- ▶ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (ლიდერი – მიხეილ სააკაშვილი);
- ▶ „აღიანისი საქართველოსთვის“ (ლიდერი – ირაკლი ალასანია);
- ▶ საქართველოს დემოკრატიული პარტია (თავმჯდომარე – გია თორთლაძე);
- ▶ პარტია „საქართველოს გზა“ (თავმჯდომარე – სალომე ზურაბიშვილი);

კითხვარი არ შეუვსიათ შემდეგ პოლიტიკურ სუბიექტებს:

- ▶ საქართველოს კონსერვატორული პარტია (თავმჯდომარე – ზვიად ძიძიგური);
- ▶ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (თავმჯდომარე – გიორგი თარგამაძე);
- ▶ მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ (თავმჯდომარე – ზურაბ ნოლაიძე);
- ▶ პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (თავმჯდომარე – გოგი თოფაძე);
- ▶ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (თავმჯდომარე – ბაჩუკი ქარდავა);
- ▶ პარტია „თავისუფლება“ (თავმჯდომარე – კონსტანტინე გამსახურდია);
- ▶ საქართველოს ხალხის პარტია (თავმჯდომარე – კობა დავითაშვილი);
- ▶ პარტია „ჩვენ თვითონ“ (თავმჯდომარე – პაატა დავითაია);
- ▶ „სახალხო დემოკრატიები“ (თავმჯდომარე – ნიკოლოზ ივანიშვილი)

პროექტის მიმდინარეობისას საკუთარი ზოგადი საარჩევნო ეკონომიკური პროგრამები წარმოადგინეს შემდეგმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა:

- ▶ „აღიანისი საქართველოსთვის“ (ლიდერი – ირაკლი ალასანია);
- ▶ საქართველოს დემოკრატიული პარტია (თავმჯდომარე – გია თორთლაძე);
- ▶ საქართველოს კონსერვატორული პარტია (თავმჯდომარე – ზვიად ძიძიგური);
- ▶ პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (თავმჯდომარე – გოგი თოფაძე);
- ▶ „სახალხო დემოკრატიები“ (თავმჯდომარე – ნიკოლოზ ივანიშვილი)

ექვსთვიანი თანამშრომლობის შემდეგ საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამა თვითმმართველობის პრობლემების ჩრილში, საბოლოოდ, ხუთმა პოლიტიკურმა ძალამ წარმოადგინა - „ეროვნულმა საბჭომ“, „აღიანისმა საქართველოსთვის“, „თორთლაძე - დემოკრატიებმა“, „თოფაძე - მრეწველებმა“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“.

2.1 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ისევე როგორც ყველა პოსტ-კომუნისტურ ქვეყანაში, საქართველოშიც ძალიან ბევრი პოლიტიკური პარტია შეიქმნა. თუმცა, ამ სიმრავლეს ნაკლებად ახასიათებდა და ახასიათებს იდეების და ღირებულებების გარშემო ჩამოყალიბება და მოღვაწეობა. განმსაზღვრელ როლს კვლავინდებურად პარტიის ლიდერები და მათი პირადი შეხედულებები განსაზღვრავს და არა – ესა თუ ის იდეოლოგიური თუ ღირებულებითი საფუძველი.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ხელისუფლებაში მოსვლაა საკუთარი გეგმების და შეხედულებების რეალიზაციის მიზნით. თუმცა, როგორც პროექტის ფარგლებში პარტიათა ეკონომიკური პროგრამების წარმოდგენილი ოდენობა და სიღრმე მიუთითებს, პარტიათა უმრავლესობას ამ მთავარი პოლიტიკური მიზნის მიღწევის მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროგრამა არ გააჩნია. ეს პროგრამები უპირატესად ძალიან ცვალებად ღირებულებებს ეფუძნება და ხშირად უფრო მეტად საზოგადოების დიდი ნაწილის წუხილებზე სწრაფი რეაგირების მცდელობას ნააგავს.

ეს ტენდენცია მიუთითებს, რომ პოლიტიკური პარტიებს მთავარ მიზნად მხოლოდ ახლო პერსპექტივაში არჩევნების მოგება აქვთ დასახული და ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ქვეყნის განვითარების მოკლე, საშუალო ან გრძელვადიანი გეგმა, როგორც წესი, არ გააჩნიათ. რაც შეეხება აფიშირებულ გეგმებს და პროგრამებს, ისინი ხშირად ძალიან ზოგადი (ზოგჯერ სულაც ზეპირი) ხასიათისაა და ნაკლებად არის გამყარებული კონკრეტული გათვლებით და დასაბუთებით, ასევე ნაკლებად ითვალისწინებს არსებულ ეკონომიკურ თუ სხვა სახის მოცემულობებს და შესაძლებლობებს.

ამასთან, როგორც თავად პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, ეს რეალობა უპირატესად განპირობებულია იმ დაკვეთით, რომელიც პოტენციური ამომრჩევლისგან მოდის. კერძოდ, საზოგადოებაში ნაკლებად არის მოთხოვნა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების დეტალურ გაცნობაზე, ამ პროგრამების განსახორციელებლად აუცილებელ გათვლებსა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებაზე. ამომრჩევლის მხრიდან ასეთი დამოკიდებულება კი პოლიტიკურ სუბიექტებს უფრო ზოგადი ფორმულირებებისა და პროგრამების ლოზუნგური ხასიათის განცხადებებზე გადაწყობისკენ უბიძგებთ.

არგუმენტი, რომ საზოგადოება, შესაბამისი ტრადიციის უქონლობის, შედარებით დაბალი პოლიტიკური კულტურის თუ სხვა მიზეზების გამო მართლაც არ მოითხოვს პოლიტიკური პარტიების დეტალურ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებს და არ ამახვილებს სათანადო ყურადღებას მათი განხორციელების რეალურობაზე, შესაძლოა მართლაც თამამობს გარკვეულ როლს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თავად პოლიტიკური პარტიებიც ნაკლებად აფუძნებენ თავიანთ პროგრამებს პოლიტიკურ იდეოლოგიასა და კონცეფციებზე და ნაკლებად სთავაზობენ საზოგადოებას ჩამოყალიბებულ ხედვებს ამა თუ იმ მიმართულებით.

თუმცა, შეიძლება მაინც ითქვას, რომ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო კამპანია ერთ-ერთი ყველაზე მიზანმიმართული აღმჩნაო. ასევე ცხადია, რომ პარტიებმა წინა საარჩევნო ციკლებისგან განსხვავებით (2006, 2008, 2009 წლები), მეტ-ნაკლებად სცადეს საზოგადოების უპირატესად სოციალური და ეკონომიკური შინაარსის დაკვეთების შესრულება. ამ ფაქტორის გათვალისწინებით პოლიტიკურმა სუბიექტებმა თავიანთი პროგრამების გარკვეული პუნქტები მაქსიმალურად მოარგეს საზოგადოების ყველაზე აქტიურ წიხილებს და მოთხოვნებს და შედარებით ნაკლებად იყვნენ ორიენტირებულნი პოლიტიკურ შემადგენელზე.

ამის ნათელი დასტურია არჩევნებში მონაწილე, პრაქტიკულად, ყველა სუბიექტის მხრიდან აქცენტის გაკეთება დასაქმების და უმუშევრობის პრობლემატიკაზე, კომუნალური მომსახურების სიძვირეზე, ასევე ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საკითხების ხაზგასმით წინა პლანზე წამოწევა.

ამავდროულად თვალსაჩინო იყო ტენდენცია, რომელიც მიუთითებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების წინ პოლიტიკური სუბიექტები ამომრჩეველს ძალიან ხშირად ჰპირდებოდნენ ისეთი პრობლემების გადაჭრას, რომლებიც აშკარად სცილდება თვითმმართველობების უფლებამოსილებას, მისი გადაჭრა თვითმმართველობების მანდატით შეუძლებელია და ან ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება (მაგალითად, პენსიების ცენტრალიზებული წესით გაზრდა) ან მარეგულირებელი ერთეულების დისკრეციის სფეროშია (მაგალითად, კომუნალური მომსახურების ტარიფების დადგენა), ან სულაც კერძო კომპანიების აქტივობაზე დამოკიდებული (დასაქმება).

გარდა ამისა, აშკარად თვალში საცემი იყო „უფასო“ სერვისების გამრავალფეროვნების დაპირებებით აპელირება იმ წყაროებზე მითითების გარეშე, რომლებმაც ამ მომსახურებათა (კომუნალური, ჯანდაცვის, განათლების და ა.შ.) უფასოობა უნდა უზრუნველყონ.

თითქმის ყველა საარჩევნო პროგრამაში დაპირებებს შორის ყველაზე ხშირად ფიგურირებდა სიტყვა „უფასო“ და ექსპერტებისათვის მეტად საინტერესო სწორედ ეს ნაწილი იყო, როდესაც პოლიტიკური პარტიები ხსნიდნენ, თუ რას ნიშნავს უფასო წყალი, უფასო მედიკამენტი, რა წყაროებიდან უნდა დაფინანსდეს ეს ხარჯები და ა.შ.

გამოიკვეთა, რომ პოლიტიკური პარტიებიც და მათი მერობის კანდიდატებიც კანდიდატები ჰპირდებიან ამომრჩეველს, რომ თვითმმართველობა ბევრი რამის დაფინანსებას საკუთარ თავზე აიღებს. მაგალითად, იგივე ჯანდაცვის ბიუჯეტი, რომელიც ყველა პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, პარტიების შეფასებით, თვითმმართველობების ბიუჯეტებში წარმოდგენილია გაცილებით ნაკლებად, ვიდრე ამას მოსახლეობის საჭიროებები მოითხოვს. ანუ ბიუჯეტს შიგნით არსებული დაფინანსების წყაროები უნდა გადაისინჯოს იმ ლოგიკით, რომ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფაზე მიიმართოს მეტი სახსრები.

საგანგებოდ შედგენილი კითხვარის მიხედვით, პოლიტიკურ პარტიებს უნდა წარმედგინათ საკუთარი შეხედულებები ისეთ ტემებზე, როგორიცაა სამხარეო, რაიონული, თბილისის მოწყობა, როგორ უნდა გაიმიჯნოს უფლებამოსილება ცენტრსა და რეგიონებს შორის, რა მოდელები შეიძლება ამუშავდეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით კონფლიქტურ ზონებთან მიმართებაში, როგორ უნდა დალაგდეს ეკონომიკური მოდელები თავისუფალი ინდუსტრიული ზონების პრაქტიკის ამოქმედების შემდეგ, ანუ ყველა ის საკითხი, რომელიც პირდაპირ ეხება თვითმმართველობის ეკონომიკურ საფუძვლებს და გამომდინარეობს იმ რეალობიდან, რაც დღეს ქვეყანაშია.

გამოიკვეთა, რომ თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა ყველაზე მეტ აქცენტს მაინც მხოლოდ თბილისზე აკეთებდა და ყურადღების მიღმა რჩებოდა სამხარეო და რაიონული დონეები. თუმცა, იმაზე, თუ როგორ აპირებენ წინასაარჩევნო დაპირებების განხორციელებას მერობის კანდიდატები, პოლიტიკურ პარტიებს დეტალური პროგრამები არც ამ ნაწილში წარმოუდგენიათ.

რაც შეეხება სამხარეო და რაიონულ ჭრილს, პოლიტიკური სუბიექტების უმრავლესობა თანხმდება, რომ მათი არსებული სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის მოდელები არაეფექტიანია, თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლები – გამო-
ხშირული, განვითარების დონე კი – საკმაოდ დაბალი. ამის მიუხედავად, პოლიტიკური სუბიექტების უმრავლესობას არ გააჩნია მკაფიო ხედვა, როგორი სოციალურ-ეკონომიკური მოდელით უნდა განვითარდეს თვითმმართველობები, რა არის არსებითად შესაძლებელი არსებულ მოდელში, როგორ უნდა განაწილდეს უფლებამოსილებები და ფინანსური ნაკადები ცენტრალურ ხელისუფლებასა და თვითმმართველობებს შორის და ა.შ.

საგულისხმოა, რომ პროექტის „თემატური დებატების ორგანიზება პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ადგი-
ლობრივი არჩევნების გამჭვირვალობისთვის“ მიმდინარეობის 6 თვის მანძილზე საკმაოდ გართულებული იყო პოლიტი-
კურ პარტიებთან კომუნიკაცია მათგან სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების მიღების და მათი შესწავლის კუთხით. თეორიულად არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს არ განუცხადებია უარი საკუთარი პროგრამის წარმოდგენაზე, თუმცა პრაქტიკულად ეს მხოლოდ მათმა უმცირესობამ განახორციელა.

ცალკე საკითხად აღსანიშნავია პროექტის ფარგლებში, მისი მონაწილე პოლიტიკური სუბიექტებისთვის ადგილობრი-
ვი თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლების პრობლემატიკის მომცველი კითხვარის შევსების პრობლემატიკაც. მიუხედავად იმისა, რომ კითხვარის შევსებაზე თანხმობა განაცხადა არჩევნებში მონაწილე თითქმის ყველა სუბიექტმა და ეს კითხვარი თვითნებურ მონაწილე პარტიას რამდენჯერმე გადაეგზავნა, მათგან მხოლოდ მცირე ნაწილმა გასცა მას პასუხი და, უპირატესად, ისიც საკმაოდ ზოგადი და სქემატური.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თვალსაჩინოა, რომ:

- ▶ ნინა საარჩევნო ციკლებისგან განსხვავებით, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო პროგრამებში სოციალურ-ეკონომიკურ თემატიკას ფორმალურად უფრო მეტი ადგილი დაეთმო;
- ▶ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს უჭირთ ან არ მიჩნიათ საჭიროდ საკუთარი ეკონომიკური ხედვების დეტა-
ლური არტიკულირება და მათი დასაბუთება, რისი გამართლებაც ხდება საზოგადოების ნაკლები დაინტერესებულობით და დაბალი პოლიტიკური კულტურით;
- ▶ ყველა დონის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებშიც კი ხშირად არ არსებობენ ადამიანები ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, რომელიც თვითმმართველობის პრობლემატიკაზე, მათ შორის მის ეკონომიკურ საფუ-
ძვლებზე პერმანენტულად მუშაობენ;
- ▶ პარტიების ეკონომიკური პროგრამები კვლავინდებურად ნაკლებად არის კონცენტრირებული ცალკეული იდეების და ღირებულებების გარშემო და უმეტესად მათ მოკლევადიან პოლიტიკურ ინტერესს, ასევე მათი ლიდერების პერსონა-
ლურ ხედვას ემსახურება;
- ▶ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა და გაერთიანებათა ეკონომიკური პროგრამების სიღრმე მიუთითებს, რომ მათ უმრავლესობას საკუთარი საარჩევნო დაპირებების რეალიზების მკაფიოდ ჩამოყალიბებული და თანმიმდევ-
რული გეგმა არ გააჩნია;
- ▶ არჩევნებში მონაწილე პარტიათა სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში ძირითად პრიორიტეტებად გამოვანილი საკი-
თხები ხშირად ატარებს მოკლევადიან ხასიათს და მხოლოდ საარჩევნო ციკლის პერიოდის აქტუალობით ხასიათდება;
- ▶ პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები არის ძალიან ზოგადი ხასიათის, რაც ხშირად მიუთითებს იმაზე, რომ საარჩევნო სუბიექტებს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ქვეყნის განვითარების მოკლე, საშუალო ან გრ-
ძელვადიანი გეგმა ან საერთოდ არ გააჩნიათ, ან ძალიან ბუნდოვანი ხასიათის;
- ▶ საარჩევნო პოლიტიკური სუბიექტების დეკლარირებული გეგმები და პროგრამები ხშირად ძალიან ზოგადი, თეზისური ან სულაც ზეპირი ხასიათისაა და ძალიან იშვიათად არის თანხლებული დეტალური გაანგარიშებებით და საჭიროებათა დასაბუთებით;
- ▶ პოლიტიკურ პარტიათა ის ეკონომიკური პროგრამები, რომლითაც ისინი წარადგენენ ადგილობრივი თვითმმართველო-
ბების არჩევნებზე, ნაკლებად ითვალისწინებს ამა თუ იმ ცალკეული თვითმმართველობის ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, კლიმატურ თუ სხვა სახის თავისებურებებს, ასევე მათ ეკონომიკურ შესაძლებლობებს და დოტაციურობის ხარისხს;
- ▶ პოლიტიკურ პარტიათა ეკონომიკურ პროგრამებში ნაკლებად არის პროგნოზირებული, რა შედეგებს და რა ვადებში

მოიტანს მათ მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური პროგრამების რეალიზება, რა ფინანსურ რესურსს მოითხოვს ეს პროგრამები და რა წყაროებიდან უნდა იქნას უზრუნველყოფილი მათი დაფინანსება;

- ▶ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამებში გაცილებით მეტი ადგილი დაეთმო სოციალურად სენსიტიური საკითხებით (უმუშევრობა, კომუნალური გადასახდელები, ჯანდაცვა, განათლება, პენსიები) აპელირებას;
- ▶ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიების პროგრამებში სჭარბობდა ისეთი პრობლემების გადაჭრის დაპირებები, რომლებიც ფართოდ სცილდებიან ან საერთოდ არ შედიან თვითმმართველობების კომპეტენციის ფარგლებში;
- ▶ საარჩევნო პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ამომრჩევლისთვის უფასო სერვისების დაპირებებს, ამ სერვისების დაფინანსების წყაროების მითითების გარეშე;
- ▶ არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტის მომეტებული ინტერესი მაინც დედაქალაქისკენ იყო მიპყრობილი, რაც, სავარაუდოდ, თბილისის მაღალი პოლიტიკური ფასით არის განპირობებული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე აქცენტების აქტიურად დასმის მიუხედავად, პოლიტიკური პარტიების ეკონომიკური პროგრამები მაინც ნაკლებად მოიცავდა ამ საკითხების აუცილებელ დეტალიზებას, ასევე ინფორმაციას მათი დაფინანსების და განხორციელების გზების და მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამები იყო გაცილებით უფრო ზოგადი ხასიათის, რაც დაინტერესებულ ამომრჩეველს ნაკლებ წარმოდგენას შეუქმნიდა პოლიტიკური სუბიექტების ეკონომიკური ხედვების მისთვის მისაღებობის, ასევე ამ ხედვების რეალიზების გზების რეალურობის, ქრონოლოგიის და ხარჯტევადობის შესახებ.

2.2 დასკვნები და რეკომენდაციები

პროექტის „თემატური დებატების ორგანიზება პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ადგილობრივი არჩევნების გამჭვირვალობისთვის“ მსვლელობისას პოლიტიკურ პარტიებთან ინტენსიური კომუნიკაციის პირობებში გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი:

უპირველესად, პოლიტიკური კულტურის ნაკლებობის დონე, რაზეც საზოგადოებასთან მიმართებაში ხშირად და თითქმის ერთხმად მიუთითებენ პოლიტიკური პარტიები, არანაკლებ თვალსაჩინოა თავად პოლიტიკური პარტიების ყოველდღიური საქმიანობის და ამომრჩეველთან წინასაარჩევნო ურთიერთობის პროცესში.

პოლიტიკურ პარტიებთან რამდენიმე თვიანი ინტენსიური კომუნიკაციის პროცესში თვალსაჩინო გახდა, რომ საარჩევნო სუბიექტების მიერ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების თეზისური, არასრული და დაუკონკრეტებელი სახით გამოტანა გამოწვეულია არა მხოლოდ მათი სურვილის ნაკლებობით, არამედ შესაბამისი ცოდნის, კვალიფიკაციის და უნარჩვევების დეფიციტის გამოც.

პოლიტიკური პარტიების ეკონომიკური ხედვები ნაკლებად ეფუძნება ამა თუ იმ ღირებულებებს და ეკონომიკურ თეორიას და ძალიან ხშირად ატარებს აღრეულ და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ ხასიათსაც, რაც უძნელებს ამომრჩეველს ორიენტირებას და არათანმიდევრულს და ნაკლებად სერიოზულს ხდის თავად პოლიტიკური სუბიექტების პროგრამასაც.

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური პროგრამების უმეტესობას არ ახლავს შესაბამისი ფინანსური გაანგარიშებები, რის გარეშეც წარმოდგენილია მათ რეალურობაზე და განხორციელების შესაძლებლობებზე მსჯელობა.

პოლიტიკური პარტიები საარჩევნო ეკონომიკური პროგრამების შედგენისას ნაკლებად ახდენენ არსებული საკანონმდებლო ბაზის, სტატისტიკური და სხვა სახის მონაცემების, საერთაშორისო ინსტიტუტების პროგნოზების და სხვა მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტების ანალიზს და საკუთარი პროგრამებში გათვალისწინებას.

ჩამოთვლილი პრობლემების გათვალისწინებით, პარტიების ეკონომიკური პროგრამები ხდება ძალიან მწირი შინაარსის მქონე და ხშირ შემთხვევაში სრულიად განსხვავებული იდეოლოგიის სუბიექტების პროგრამები პრაქტიკულად სრულიად იდენტურად გამოიყურება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასურველია, თუ პროექტის „თემატური დებატების ორგანიზება პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ადგილობრივი არჩევნების გამჭვირვალობისთვის“ მსვლელობისას გამოკვეთილი პრობლემები არ დარჩება მხოლოდ მიგნებების დაფიქსირების დონეზე და მას მოჰყვება უფრო კონკრეტული ნაბიჯები.

ამ ნაბიჯების საბოლოო მიზანი უნდა იყოს პოლიტიკური პარტიებისთვის პოლიტიკური კულტურის ამაღლებაში, ამომრჩეველთან უფრო მჭიდრო და ურთიერთპატივისცემაზე აგებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში, ასევე საარჩევნო პროგრამების და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების უფრო კვალიფიციურად ჩამოყალიბებაში მხარდაჭერა.

უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია იმ საჭიროებების იდენტიფიცირება და სუსტი ადგილების გამოკვეთა, რაც პოლიტიკურ პარტიებს ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით გააჩნიათ. სანყის ეტაპზე ეს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ამოცანაა, რადგან იგი კონკრეტულად გამოკვეთს ცალკეული საარჩევნო სუბიექტების ძირითად პრობლემებს, ასევე იმ სირთულეებს, რაც მათ საკუთარი ეკონომიკური ხედვების ჩამოყალიბების და მათი არტიკულირების მხრივ გააჩნიათ.

ამ თვალსაზრისით, სასურველი იქნებოდა სასწავლო-საკონსულტაციო პლატფორმის ორგანიზება საკანონმდებლო და სხვა და სხვა მონაცემთა (სტატისტიკური და ა.შ.) ბაზების, სამეცნიერო, კვლევითი, საკონსულტაციო, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საექსპერტო რესურსების თავმოყრით და გააქტიურებით.

ამ რესურსების გამოყენებით პოლიტიკურ პარტიებს მიეცემათ საშუალება, პერმანენტულ რეჟიმში იმუშაონ საკუთარი ეკონომიკური პროგრამების დახვეწაზე, მათ დეტალურ ჩამოყალიბებასა და გაანგარიშებებზე, ასევე ამ პროგრამების უფრო ადეკვატური ფორმით შეფუთვასა და ამომრჩევლისთვის სათანადო მიწოდებაზე.

მსგავსი ნაბიჯების რეალიზება უკეთ მოემსახურება პოლიტიკური სუბიექტების არსებულ საჭიროებებს და შესაძლებელს გახდის პოლიტიკური პარტიების მხრიდან საკუთარი პროგრამების უფრო სოლიდური და თანმიმდევრული სახით ჩამოყალიბებას, ასევე მათ კორექტირებას ქვეყნის და მსოფლიო ეკონომიკის რეალურ ცვლილებათა გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოთქმული ამომრჩეველს გაცილებით ფართო წარმოდგენას შეუქმნის პოლიტიკური სუბიექტების რაობასა და მათი პროგრამების რეალურობასა და ეფექტიანობაზე, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იყოს ნებისმიერი საარჩევნო კამპანიის დროს.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი ივნისი, 2010

3 კითხვარი

პროექტის ფარგლებში პოლიტიკურ გაერთიანებებს დაეგზავნათ კითხვარი, რომელიც ითვალისწინებდა მათი პოზიციების დაფიქსირებას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1

როგორ უნდა მოხდეს უფლებამოსილებათა გამიჯვნა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს შორის? (ცენტრალური ხელისუფლება, სამხარეო მმართველობა, რაიონების დონე და ა.შ.; საკრებულოების, მერიების, გუბერნატორის ადმინისტრაციის ადგილი და როლი ამ პროცესში).

2

როგორ გესახებათ თბილისის ეკონომიკური მოდელი? (უფლებამოსილებათა ჩარჩოს გამოკვეთა, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობა და მოდელი, გადასახადების გაყოფა ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის, დედაქალაქის ბიუჯეტით დასაფინანსებელი პროექტების მკაცრად ჩამოყალიბება, თბილისის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების გეგმის არსებობა).

3

როგორი უნდა იყოს თბილისის (ზოგადად ადგილობრივი) ბიუჯეტი? პრიორიტეტები და საფრთხეები.

4

როგორია თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური მოდელის თქვენეული ხედვა?

5

როგორც წარმოგედგენიათ თვითმმართველი ერთეულების შესაძლო ეკონომიკური მოდელები (ერთიანი, უნიფიცირებული მოდელი თუ თვითმმართველობების სპეციფიკის მიხედვით განსხვავებული; თვითმმართველი ერთეულების დაფინანსების შესაძლებლობები მათი დეფიციტურობის ხარისხის გათვალისწინებით).

6

თვითმმართველ ერთეულებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის სიმეტრიული თუ ასიმეტრიული ურთიერთობების მოდელების არსებობის შესაძლებლობა (შესაძლებელია თუ არა სხვა, რომ სხვა და სხვა თვითმმართველობებს, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ცენტრალურ ხელისუფლებასთან განსხვავებული ურთიერთობების სამართლებრივი და პრაქტიკული მოდელები ჰქონდეთ)?

7

როგორია თქვენი პოზიცია ქონების გამიჯვნაზე ცენტრალურ და თვითმმართველობის დონეებს შორის? (რა მექანიზმით შეიძლება მკვეთრად გაიმიჯნოს ქონება ცენტრსა და თვითმმართველობას შორის და რა მეთოდებით და რა მიზნით უნდა შეეძლოს თვითმმართველობებს ამ ქონების განკარგვა).

8

როგორია გადასახადების გამიჯვნის და წილობრივი გაყოფის თქვენეული ხედვა?

9

რა ტიპის საგადასახადო და სხვა სახის სტიმულების შექმნა შეიძლება თვითმმართველობებში საქმიანი აქტივობის წასახალისებლად?

10

როგორ უნდა მოხდეს არსებულ ეკონომიკურ რეალობებში (მაგალითად, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, უკონტროლო ტერიტორიები და ა.შ.) ადგილობრივი შემოსავლების გენერირების ალტერნატიული მეთოდების შემუშავება? (საქართველოს ზოგიერთ რეგიონებში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ამოქმედების შედეგად შექმნილია საგადასახადო „ოაზისები“, სადაც თვისებრივად განსხვავებული ეკონომიკური რეჟიმები მოქმედებს, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე. გარდა ამისა, არსებობს ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე რეგიონები, სადაც პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობა თვისებრივად სრულად განსხვავებულია სხვა რეგიონებისგან. რა მექანიზმებით შეიძლება მათი ქვეყნის დანარჩენ სივრცესთან ეკონომიკური ინტეგრაციის წახალისება).

11

როგორ გესახებათ ფორს-მაჟორულ სიტუაციებში მოქმედების სქემა და პასუხისმგებლობების გაყოფა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის? (ბუნებრივი კატაკლიზმების, ტექნიკური კატასტროფების და სხვა ფორს-მაჟორულ სიტუაციებში).

4 პარტიების მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური ხედვები:

4.1. „ეროვნული საბჭო“

„ეკონომიკა და დეცენტრალიზაცია“ თბილისის ბიუჯეტის შესახებ

თბილისის ბიუჯეტის აგება უნდა მოხდეს 25 მუნიციპალიტეტის მიხედვით (როგორც დღეს თბილისის 25 საარჩევნო ოლქია წარმოდგენილი). მათში გათვალისწინებული უნდა იყოს დაწვრილებით ყველა ის პრობლემა, რომელიც ამ მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლებს აწუხებთ, ნორმალური ქალაქური ცხოვრებისათვის. ბიუჯეტი გაწერილი უნდა იყოს ამის შესაბამისად, სადაც ყოველი მუნიციპალიტეტის ქუჩა, ჩიხი, ეზო, განათება, სახლებთან მისასვლელი გზები და სხვა მუნიციპალური პრობლემები, მათი მომსახურების ხარჯების შესაბამისად ნათლად იქნება გაწერილი. ეს საშუალებას მოგვცემს ადვილად აღსაქმელი და გამჭირვალე გავხადოთ თბილისის ბიუჯეტი თბილისის თითოეული მაცხოვრებლისათვის, რომელთაც მოუწდებათ ბიუჯეტის ნაკითხვა.

ძალიან მნიშვნელოვანია გადასახადების გაყოფა ცენტრალურ და თბილისის ბიუჯეტებს შორის. დღეს ასეთი გაყოფა არ არსებობს და მთელი საბიუჯეტო სასხსრების მიდის ცენტრში (ადგილობრივი ორი მოსაკრებელი, სათამაშო ბიზნესისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გამოკლებით) და მხოლოდ ამის შემდგომ, პრეზიდენტსა და მის ხელქვეითს (ქალაქის მერი) შორის კორუფციული გარიგების შედეგად მოდის თბილისის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად (მათ შორის პრეზიდენტის დედის ინსტიტუტის დასაფინანსებლად), რომელიც არანაირად არ ადგება მოსახლეობის საქალაქო ცხოვრების პრობლემების მოგვარებას. ამიტომ საჭიროა უფლებამოსილებათა ჩარჩოს გამოკვეთა, დედაქალაქის ბიუჯეტით დასაფინანსებელი პროექტების მკაცრად ჩამოყალიბება, ცენტრალური საბიუჯეტო შემოსავლების (საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად), ცენტრალურ ბიუჯეტში გაუვლელად, სათანადო პროცენტული ოდენობით ადგილობრივ ბიუჯეტში დატოვება და მისი ექსკლუზიურად გამოყენება.

თბილისის ეკონომიკური განვითარების მოდელი არ უნდა იყოს უნიფიცირებული სხვა ქალაქების ეკონომიკური განვითარების მოდელთან, როგორც ეს დღეს ხდება. ერთპარტიული, მკაცრად ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში, საქართველოს ყველა ქალაქის ეკონომიკური მოდელირება ხდება ერთი კაცის მონოპოლიზირებული ხედვით, რაც არანაირ ეკონომიკურ შედეგს არ იძლევა საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული, თუ ჩვენი თანამემამულეების ინდივიდუალისტური ბუნების მრავალფეროვნების გამო, რაც ჩვენი სიმდიდრეა მრავალფეროვან ეკონომიკურ სამყაროში ადგილის მოსაპოვებლად და ოპტიმალური განვითარების გზების ძიებისათვის.

გადასახადების შესახებ

ძალიან დიდ დარტყმას აყენებს ეკონომიკურ განვითარებას მაღალი საგადასახადო ტარიფები და საჯარიმო ტარიფები. მიუხედავად სააკაშვილის დეკლარირებული საგადასახადო ლიბერალიზაციისა, საგადასახადო განაკვეთები ქვეყანაში, უმუშევრობის მაღალი დონის შესაბამისად ძალიან მაღალია. ყოველ გამომუშავეზე ლარზე, მხოლოდ საშემოსავლო გადასახადი 20%-ია. თუ ამას დავუმატებთ დამატებით ღირებულებაზე გადასახადს (დღგ 18% არ არის მოქნილი და ყველა ბიზნესს, შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად ერთნაირად ბეგრავს), რომელიც იანგარიშება პროდუქციის მთლიანი ღირებულებიდან ყიდვის ან გაყიდვის ყოველ ეტაპზე, მაღალ საჯარიმო სანქციებს რომლის მინიმალური ზღვარი 1000 ლარიდან იწყება და მაქსიმალური 10000 ლარს უტოლდება, რომ შეუძლებელია რაიმე ეკონომიკურ განვითარებაზე საუბარი. ადამიანებს არანაირი სტიმული და ინტერესი არ უჩნდებათ ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისათვის და მონის დაჩაჩანაკებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდა დაკავშირებულია ზედმეტად მკაცრ და რთულ ადმინისტრირებასთან, რაც თითქმის ყოველთვის სრულდება გადასახადის გადამხდელის მართლზომიერი უფლებებისა და ინტერესების შელახვით. ამავე დროს საგადასახადო კოდექსით დადგენილია დარღვევათა გარკვეული კატეგორია, რისთვისაც გათვალისწინებულია ისეთი სახისა და ოდენობის სანქციები, რაც დაკისრებისა და სისრულეში მოყვანის შემთხვევაში უპირობოდ იწვევს იმ მენარმეების გაკოტრებას, რომლებიც განვითარების საწყის ეტაპზე არიან ან თავიანთი კაპიტალბრუნვით არ წარმოადგენენ მსხვილ ორგანიზაციულ წარმონაქმნს. ასეთი ადმინისტრირების პირობებში მენარმე იძულებული ხდება თავი აარიდოს კონტროლსა და შემოწმებას და ამგვარად თავი ჩაიყენოს არალეგალური მენარმის მდგომარეობაში.

ადგილობრივი ქონების შესახებ

თბილისის ეკონომიკურ განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს ცენტრალური და ადგილობრივი ქონების გაუმიჯნაობა, რაც საშუალებას აძლევს პრეზიდენტს (მისი ავტორიტარული მმართველობის ერთ-ერთი წყარო) საკუთარი შეხედულებისამებრ ჩართული იყოს უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის პროცესში, როგორც მაკლერი, რაც ქალაქის თა-

ვისუფალ ეკონომიკურ განვითარებას მიძიმე ტვირთად აწევა. ამას ემატება ისიც, რომ ქვეყანაში ლეგალური, კერძო მენარმეებზე ორიენტირებული საინვესტიციო გარემო არ არსებობს და ეს პროცესი შემოიფარგლება პრეზიდენტის, მთავრობის წევრების და ჩვენი ელჩების მიერ ინვესტიციების “მოზიდვის” პროცესით.

პერსპექტივები

ნორმალურ, ადამიანის ინდივიდუალურ ინიციატივაზე დამყარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლისა და არსებული გამრუდებული პროცესის შეჩერების ნამალი არის პრეზიდენტის ზღვარსგადასული ძალაუფლების (ტირანიის) კონსტიტუციურად შეზღუდვა, პრეზიდენტის ხელისუფლებიდან აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის უფლებების ჩამოცილება, საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელის ფუნქციის ჩამორთმევა და ქვეყნის ეკონომიკური დეცენტრალიზაცია. ამ ეტაპზე პროცესის დაწყება შესაძლებელია დაუყოვნებლივ, ადგილობრივი არჩევნებისას, არჩევნების გზით, ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ხელისუფლების სადავეებიდან ჩამოცილებით, რაც თითოეული ამომრჩეველის სასიკეთოდ იმოქმედებს ინდივიდუალურად, რამდენადაც ხელისუფლების გაყოფის შემთხვევაში მიიღწევა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალურად დაცვა და პირად ცხოვრებაში ნარმატების მიღწევა, ხოლო შემდგომ უკვე საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმებით (რაც ხელს უწყობს ქვეყანაში ერთპარტიული ხელისუფლების ჩამოყალიბებას) და მრავალპარტიულ საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლის მეშვეობით.

4.2. „თორთლადე-დემოკრატიული პარტია“

2010 წლის ქალაქ თბილისის თვითმმართველობის არჩევნებში

დემოკრატიული პარტიის მერობის კანდიდატის დავით იაკობიძის წინასაარჩევნო პროგრამა

შესავალი

მსოფლიო გლობალური სივრცე ქმნის განვითარების გარემოს, რომელშიდაც მოუწევს მთელ საქართველოსა და მის თითოეულ ტერიტორიალურ-ადმინისტრაციულ ერთეულს ცხოვრება. მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში ინტეგრირება საქართველოსათვის აუცილებელი და სასურველი გზაა. ჩამომდინარე ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ფუნქციიდან გლობალიზაციის დინამიურ პროცესში აქტიური მონაწილეობის უმნიშვნელოვანესი საშუალებებია ნატო და ევროკავშირი. ამიტომ, საქართველოსთვის მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში ინტეგრაციის პირობაა მისი განვითარება ევროკავშირში და ნატოში. ეს მიზანდასახულობა არის საქართველოს განვითარების სტრატეგიული ორიენტირი და იდეა ინდიკატორი, რომლის მეშვეობითაც უნდა შეფასდეს საქართველოს პოლიტიკური ძალისხმევების ეფექტურობა.

გამომდინარე საქართველოს დღევანდელიდან, იქედან, რომ დარღვეულია ჩვენი ტერიტორიალური მთლიანობა, აგრესორი მეზობლისგან, რუსეთის ფედერაციის მიერ მიტაცებულია მისი ისტორიული და განუყოფელი მხარეები, რომელიც სეპარატისტულ, მარიონეტულ რეჟიმთა საფარით ქმნის საშიშროებას საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისადმი. გლობალურ გარემოში საქართველოს მთავარი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ამოცანად რჩება, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განმტკიცება.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მისი სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და დემოკრატიულ ფასეულობათა განუხრელი განმტკიცება სახელმწიფოებრიობის ფუნქციონირების ყველა დონეზე. შესაბამისად, საქართველოს ცალკეული ტერიტორიულ ადმინისტრაციული ერთეული მთელ ეროვნულ ერთობასთან ერთად უნდა გახდეს ამ აქტიური, შემოქმედებითი პროცესის მონაწილე და ინიციატორი. ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულთა ამოცანაა იზრუნონ ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენისათვის, შექმნან პირობები საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობაში აქტიური ინტეგრაციისათვის, რათა მიღწეულ იქნას ეროვნული სინერგია, როდესაც შემადგენელი ელემენტების ერთობლიობაზე მეტი იქნება მთელი. მათი ამოცანაა საერთო, ეროვნული ინტერესების უპირატესი დაცვა და ამ მიზნისათვის მათ განკარგულებაში არსებული რესურსების აქტიური, დაუშურველი გამოყენება.

თბილისის საქალაქო თვითმმართველობის ინსტიტუციური დახასიათება

საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საერთო ეროვნული ინტერესების დაცვა და მისი განვითარების განუხრელი ხელშეწყობა არის ქვეყნის ყველა ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულის, ასევე მისი დედაქალაქის, თბილისის დინამიკის განმსაზღვრელი გზა. ქვეყანაში ღია საზოგადოების ფორმირებაში, დემოკრატიული გარემოს ჩამოყალიბებაში და ადამიანის თავისუფალი შემოქმედებითი განვითარების ინსტიტუციურ უზრუნველყოფაში აქტიური და შემოქმედებითი და ნოვატორული მონაწილეობა არის თბილისის, როგორც ქვეყნის უმთავრესი სოციალ-პოლიტიკური ერთეულის მიზნობრივი ფუნქცია. მოქალაქეთა თავისუფლება და უფლებათა დაცვა, მათი განვითარებისათვის დემოკრატიული პირობებისა და ხელშეწყობი ინსტიტუტების შექმნა არის ის აუცილებლობა, რომელსაც ითხოვს სამოქალაქო საზოგადოების დინამიზმი. ამასვე ითხოვს თბილისისგან საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების

ამოცანები და მსოფლიო გლობალური განვითარების ტენდენციები. დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოების ღიაობისა და მოქალაქეთა შესაძლებლობების მიხედვით თანასწორობის აუცილებლობის პირობებში თბილისს, ესაჭიროება ძალა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ მოთხოვნებს, აუცილებლობას აქცევს სინამდვილედ. ასეთ ძალად დემოკრატიულ გარემოში გვევლინება საქალაქო თვითმმართველობა. იგი არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, დემოკრატიულ განვითარებას, შექმნის მოქალაქეთა თავისუფალ შემოქმედებითი განვითარების ინსტიტუციონალურ გარემოს.

თბილისის თვითმმართველობა (ძალა) და მოქალაქეთა თავისუფალი, დემოკრატიული, ღია და შესაძლებლობათა სამართლიანობაზე დაფუძნებული განვითარების პროცესი (აუცილებლობა) ერთობლივად განაპირობებენ თბილისის ადგილსა და როლს მთლიანად საქართველოსა და ქართული კულტურის განვითარებაში. მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებების დაცვა მოითხოვს ძალას და ეს ძალა უნდა იყოს ქალაქის თვითმმართველობა, ხოლო აუცილებლობასა და ძალას შორის ბალანსის განმსაზღვრელი, მისი დაცულობის გარანტი კი ღია, საყოველთაო არჩევნებით არჩეული მერი.

თბილისის მერის არჩევნებში ვმონაწილეობთ ამ შეგნებით და თბილისის მოქალაქეებს ვპირდებით, რომ იმ შემთხვევაში თუკი ამირჩევენ ქალაქის მერად ვიქნები თბილისელების შემოქმედებითი, აქტიური, თავისუფალი ცხოვრების პირობების შექმნისა და განვითარების გარანტი, ქალაქის თვითმმართველობის ქვეყნის კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში საქმიანობის მხარდამჭერი და მისი გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გამტარებელი. არ დაგუშვებ, რომ ძალა მოქმედებდეს თავისუფლების სახელით, ან ქაოსი და უნესრიგობა იქცეს ძალად.

თბილისის მისია საქართველოს სახელმწიფოს განვითარებაში

თბილისი საქართველოს დედაქალაქია, ეს ნიშნავს იმას, რომ თბილისი არის საქართველოში მიმდინარე გეოპოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური კულტურული პროცესების შემოქმედი და ინიციატორი. ეს მისია თბილისის საქართველოს 3000 წლიანი სახელმწიფოს არსებობის მანძილზე ისტორიულად აკისრია 1500 წლის და მეტის განმავლობაში.

დღეს, როდესაც მსოფლიო გლობალურ გარემოში მრავალ ქვეყანაში წარმოიქმნა ქართველთა დიასპორები და თვით საქართველოში ცხოვრობს მრავალი განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ხალხი, თბილისის ეკისრება ყველა ეთნიკურ ქართველთა და საქართველოში მცხოვრებ ეთნოსთა აქტიური სამეურნეო და კულტურული საქმიანობის ინტეგრაცია და განვითარების კოორდინაცია.

თბილისი უნდა გახდეს სრულიად საქართველოსა და ყველა ქართველთა ძალისხმევის და მისი შედეგების ინტეგრატორი, გამაერთიანებელი ერთ მთელად შემკვრელი და პრეზენტატორი.

დღეს, როდესაც დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, როდესაც მტრების მიერ მოხდა მისი სახელმწიფო სუვერენიტეტის შეზღავანა და ისტორიული ტერიტორიების ანექსია, თბილისის ეკისრება, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, იზრუნოს საქართველოს მთლიანობისათვის, მისი სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის.

თბილისი უნდა იყოს საქართველოს ყველა ტერიტორიალურ ადმინისტრაციული ერთეულის, მათ შორის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, მისი ყველა რაიონის განვითარების გზამკვლევი და ორიენტირი. მთელ საქართველოში დემოკრატიულობისა და სამოქალაქო ფასეულობათა დამკვიდრების ინიციატორი და მხარდამჭერი.

დღეს, როდესაც საქართველოს უხდება გლობალურ გარემოში საკუთარი ადგილის დამკვიდრება და ხალხთა თანამეგობრობაში ღირსეული მდგომარეობის მოპოვება, როდესაც ევროკავშირში ინტეგრაციასა და ნატოში გაწევრიანების ალტერნატივა არა აქვს, თბილისი უნდა გახდეს ქართული ბიზნესის, მეცნიერული და კულტურული აქტიობის გზამკვლევი მსოფლიოში, საქართველოს მთავარი მაკავშირებელი რგოლი მსოფლიოს კულტურულ და სამეურნეო ცენტრებთან.

თბილისის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები

უპირველეს ყოვლისა ტერმინი სტრატეგია გვესმის არა მხოლოდ ხანგრძლივ ვადიან ღონისძიებათა განმსაზღვრელ პროგრამულ მიმართულებათა ერთობლიობად, არამედ არსებული რესურსული პოტენციალის ათვისების ხარისხობრივი მახასიათებლის თვალსაზრისით. ამგვარად, სტრატეგიულ გადაწყვეტილებად უნდა მივიჩნიოთ მოქმედების ისეთი პროგრამა, რომელიც მაქსიმალურად იყენებს არსებულ რესურსულ პოტენციალს და გათვლილია დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის.

თბილისის განვითარების მთავარ პროგრამულ დოკუმენტად, თუ გენბავთ მის კონსტიტუციად უნდა იქცეს ქალაქის მდგრადი განვითარების სტრატეგიული პროგრამა. მასში ასახული უნდა იყოს, თბილისის და მისი არეალის, რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები მოსახლეობის მოთხოვნილებათა ღირსეული, თანამედროვე პირობებისათვის დამახასიათებელი დაკმაყოფილებისათვის.

ქალაქ თბილისის მდგრადი განვითარების სტრატეგიული პროგრამა უნდა მოიცავდეს განვითარების ქალაქგეგმარებით გენერალურ გეგმას, მისი მდგრადი განვითარების ცალკეულ მიმართულებათა პროგრამებს, რომლებშიც ასახული იქნება თბილისის განვითარების გრძელვადიანი პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და მექანიზმები, ქალაქის რესურსული პოტენციალი. იგულისხმება: ადამიანური კაპიტალი, მეცნიერული და ტექნოლოგიური შესაძლებლობები, ბუნებრივი რესურსები, კაპიტალური მარაგები, კულტურულ-მემკვიდრეობითი სიმდიდრე, ისტორიული ტრადიციები და მოქალაქეთა თანაცხოვრების ახალი პროგრესული ნორმებისადმი ადაპტაციის უნარი და ა.შ.

თბილისის მდგრადი განვითარების სტრატეგიული პროგრამის ცენტრალური და ამოსავალი რგოლი უნდა იყოს:

1. განვითარების ქალაქგეგმარებითი გეგმა – რომელიც უნდა წარმოადგენდეს არქიტექტორთა, ეკონომისტების, სოციოლოგების, გეოგრაფების, ეკოლოგების, გეოდეზისტების, იურისტებისა და ქალაქმშენებლობის სხვა სპეციალისტების ერთობლივი საქმიანობის შედეგს.

თბილისის გენერალურ გეგმას გაავრცობს ქალაქის მდგრადი განვითარების სტრატეგიული პროგრამის სხვა სტრუქტურული ელემენტები, კერძოდ:

2. თბილისის ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიური მდგრადობის პროგრამა, რომელიც თბილისის ეკოსისტემის განვითარების საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე განსაზღვრავს, მის ადგილს და როლს ქვეყნის ეკოლოგიურ პროცესებში. ვკლიმატური პირობების, გარემოს რელიეფის და ატმოსფერული ცვლილების შესწავლის საფუძველზე შემუშავდება ჰაერის სისუფთავის, სასმელი, ტექნიკური და რეკრეაციული წყლების რაციონალური გამოყენების, მცენარეული საფარის ოპტიმიზაციისა და მისი ნიაღვრეული სიმდიდრის მოქალაქეთა სამსახურში ჩაყენების მიმართულებები და მექანიზმები;

3. ეკონომიკური ზრდისა და სტაბილურობის სტრატეგიული მიმართულებები – ამ პროგრამაში დამუშავდება თბილისის, როგორც ქვეყნის მთავარი სამეურნეო-ტერიტორიული ერთეული განვითარების მიმართულებები, რომლის მეტოქეობით საფუძველსაც უნდა წარმოადგენდეს მოქალაქეთა დასაქმების და სიღარიბის შესაძლებლობათა ფარგლებში ლიკვიდაციის ამოცანების გადაწყვეტა. იმის გათვალისწინებით, რომ თბილისი საქართველოს მეცნიერული ცენტრია, ორიენტაცია ალექსანდრე უნდა იქნას მაღალტექნოლოგიურ, მეცნიერებადამოკიდებულ სანარმოთა განვითარებაზე, ენერგოდამცავი ტექნოლოგიების დანერგვაზე, სამშენებლო პროცესის რაციონალიზაციაზე და ქალაქის სანარმო და სოციალური ინფრასტრუქტურის თანამედროვე სისტემების ამოქმედებაზე.

4. თბილისის სოციალური განვითარების სტრატეგიები – ამ პროგრამის მთავარი მახასიათებელია ტერმინი „სოციალური“, რომელიც მოცემულ კონტექსტში არის ქალაქის, როგორც ადამიანთა დიდი მრავალგვარობის ერთიანობის მახასიათებელი. თბილისი, როგორც მის მოქალაქეთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი უნდა წარმოადგენდეს თანამედროვე ცივილიზებულ ნორმებზე ორიენტირებულ სოციალურ გარემოს, პიროვნების განვითარებისა და მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხობრივი პარამეტრები უნდა ქმნიდნენ ადამიანთა თანაცხოვრების ერთიან, დინამიურ საქალაქო სისტემას, სადაც თითოეული მოქალაქისა და მთელი ქალაქის ინტერესების ერთიანობა განაპირობებს საქალაქო სინერგიას. ამ სისტემის მაინტეგრირებელი სტრუქტურული შემადგენელი იქნება, ყველა დონის განათლების და სამედიცინო მომსახურების საქალაქო სისტემები, რომლებიც შექმნიან შესაძლებლობათა მიხედვით თანასწორობის პირობებს.

5. თბილისი საქართველოს და ქართველთა კულტურული ცენტრი – იუნესკომ თბილისი პოლიფონიური მუსიკის მსოფლიო დედაქალაქად აღიარა, ამ წარმატების განვითარებისათვის უნდა დამუშავდეს ეროვნული კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა. მთავარი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ქართველთა ეროვნულ იდენტურობას განაპირობებს არის ქართული ენა და მასზე ზრუნვა პროგრამის უმთავრესი ბირთვი უნდა იყოს. თბილისი მაღალი ხელოვნების მთავარი მხარდამჭერი და პოპულიზატორი უნდა გახდეს. ხელი შეუწყოს მსოფლიო კულტურის მიღწევათა გათავისებას და საკუთარ კულტურულ ფასეულობათა მსოფლიოში გატანას.

6. თბილისის დემოგრაფიული განვითარების, კომუნალური მეურნეობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამა – უნდა დამუშავდეს ქალაქის მოსახლეობის მიზანდასახული ზრდის სპეციალური პროგრამა, სადაც გათვალისწინებული იქნება ადამიანთა ბუნებრივი და ტექნიკური ზრდის ნამახალისებელი და შემზღუდავი ფაქტორები, ქალაქის შესაძლებლობები შექმნას თანამედროვე საცხოვრებელი პირობები, მოსახლეობის ქანქარისებური მიგრაციის გათვალისწინებით. ქალაქს უნდა გააჩნდეს განვითარებული კომუნალური მეურნეობა, რომლის რეფორმაც ამჟამად ჩიხში იმყოფება და საჭიროა ამ მიმართულებით არსებითი წინსვლა. ქალაქის კომუნალური მეურნეობის განვითარების საფუძველი უნდა გახდეს მისი ექსტერნალიტეტისა და მოქალაქეთა საკუთრებას შორის სწორი დამოკიდებულებები. შეიქმნას მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ყველა პირობა;

7. მართლმადიდებლობის ისტორიული როლის განმტკიცების, რელიგიური შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ტოლერანტობის პროგრამა – მართლმადიდებლობის ისტორიული როლიდან გამომდინარე შეიქმნას ყველა პირობები რელიგიურ კონფესიათა შესაძლებლობების მიხედვით თანასწორი ფუნქციონირებისათვის, რელიგიური შემწყნარებლობისა და სარწმუნოების პატივისცემის გარემო. გათვალისწინებული იქნას ის ფაქტი, რომ თბილისი არის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ცენტრი და აქ აღსაყდრებულია მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და მისი ლოცვა-კურთხევის გარეშე არ იქნას მიღებული არცერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. შემუშავდეს ეროვნულ უმცირესობებთან თანამშრომლობის ფორმები და მექანიზმები მათი თბილისის ერთიან სოციალურ სწრაფი ადაპტაციისათვის, მათი ეროვნული იდენტურობის პატივისცემისა და თვითგამორკვევის თანამედროვე, ცივილიზებული ნორმების დაცვით;

8. თბილისის, როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის თვითმმართველობის სტრუქტურული სრულყოფის პროგრამა – იმის გამო, რომ თბილისი არა მარტო საქართველოს დედაქალაქია, არამედ ამავე დროს არის მისი მნიშვნელოვანი ტერიტორიულ ადმინისტრაციული ერთეული, იგი მუდმივ განვითარებაშია, შესაბამისად უნდა დამუშავდეს მისი თვითმმართველობის განვითარების პროგრამა. პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ქალაქის და რაიონების, მათი წარმომადგენლობითი ორგანოების, რაიონის შეფარდებითი ავტონომიურობის რესურსული უზრუნველყოფისა და სხვა სახის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ამოცანები;

9. დიდი თბილისის, (თბილისის არეალის) განსახლებისა და კომუნიკაციური განვითარების სივრცობრივი მოწყობის პროგრამა – დიდი თბილისის არეალში შევა მცხეთის, დუშეთის, კასპის, რუსთავის, გარდაბნის და მარნეულის რაიონები, შესაძლებელია გამოყოფილი იქნას ქვეყნის სხვა რეგიონებშიც ტერიტორიები, რომლებიც ჩართული იქნებიან თბილისის სამეურნეო ცხოვრებაში. დიდი თბილისი (თბილისის არეალი), წარმოადგენს პირობით ტერიტორიულ ერთეულს, რომლის წარმოქმნის საჭიროებას განაპირობებს თბილისისათვის ქვეყნის რესურსების შეუფერხებელი გამოყენების აუცილებლობები. ამ პროგრამაში შევა თბილისის ასაქცევი სატრანსპორტო კომუნიკაციების სქემები, თბილისში სასმელი წყლის, ელექტროენერგიის, სათბობის მოწოდების მაგისტრალური ხაზები, ქალაქში ჰაერის სისუფთავესთან და ეკოლოგიური სისტემის გაჯანსაღებასთან დაკავშირებული ამოცანები, ქალაქის ადგილობრივი წარმოების სურსათით მომარაგების საკითხები და ა.შ.

ქალაქის მართვის სტრატეგიულ პროგრამული სისტემა საშუალებას მოგვცემს ეფექტიანად ავამოქმედოთ ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო პოტენციალი და შევქმნათ დასაბუთებული, ყოველმხრივ არგუმენტირებული ბაზა ქალაქის მართვის ტაქტიკური ამოცანების გადასაჭრელად.

ქალაქის მართვის მიმდინარე – ტაქტიკური ამოცანები

ქალაქ თბილისის მართვის თანამედროვე მოთხოვნებია გადაწყვეტილებათა, მმართველობითი გუნდის სხვა ძალისხმევის საჯაროობა და გამჭვირვალობა. ქალაქის მართვაში უნდა მონაწილეობდეს მთელი სამოქალაქო საზოგადოება, ადმინისტრაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მეწარმეთა კავშირები და პროფკავშირები, ქალაქის თვითმმართველობის ყველა რგოლი. გასათვალისწინებელია, საშუაოდ დროებით მიგრირებულ და ვიზიტორთა აზრიც. ამ მიზნებისათვის ქალაქს ესაჭიროება მძლავრი საინფორმაციო საშუალებათა სისტემა. შესაძლებელია შეიქმნას საკუთარი ელექტრონული და სხვა მედია საშუალებები. გამოყენებული უნდა იქნას საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ყველა საშუალება.

თბილისელები უნდა გრძნობდნენ თავს გამჭვირვალე გარემოში, ისინი ინფორმირებულები უნდა იყვნენ ქალაქის პრობლემების შესახებ და აქტიურად მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებათა მიღებაში.

თბილისის ექნება ქალაქის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკურ განვითარების ინდიკატორთა სისტემა, რომლებიც წარმოქმნიან გადაწყვეტილებების მიღების ფაქტოლოგიურ ბაზას. ამ ინდიკატორთა დამუშავებისა და მათთვის მნიშვნელობათა მინიჭების შემდეგ შეიქმნება ქალაქის განვითარების პერსპექტიულ პრობლემათა, გადაუდებელ ამოცანათა და მიმდინარე საკითხთა ჩამონათვალი, რომელსაც თანმიმდევრულად განახორციელებს ქალაქის თვითმმართველობა.

თბილისის თვითმმართველობაში მუდმივად დამუშავდება განვითარების ინდიკატორთა სამი ჯგუფი. წინმსწრები, მაგალითად, განაცხადები მშენებლობაზე, სანარმო ერთეულთა შექმნაზე, ნაგებობათა რეკონსტრუქციაზე, უცხოური ფულადი ერთეულის კონვერტაციაზე და ა.შ. მიმდინარე პერიოდის ამსახველი, მაგალითად, დასაქმების დონე, ფულის კურსი, ფულადი გზავნილების ოდენობა, წარმოებული პროდუქციის რაოდენობა და ა.შ. და დაგვიანებული, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, ექსპორტ-იმპორტის სალდო, ერთ სულ მოსახლეზე მოხმარებული პროდუქციის ოდენობა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების დონე და ა.შ. ეს მაჩვენებლები მოგვცემენ საშუალებას სწორად დავინახოთ ქალაქის ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური განვითარების ტენდენციები და მოვახდინოთ მათზე რეაგირება.

თბილისში მიმდინარე ტაქტიკური ამოცანების გადაჭრისათვის საქმიანობა უნდა წარიმართოს ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1. ქალაქის ეკოლოგიური სისტემის გაჯანსაღების;
2. ქალაქის ეკონომიკურ ურთიერთობებში თანამედროვე მექანიზმების გენერირებისა და მისი მსოფლიო სამეურნეო ცენტრებში ინტეგრაციისთვის;
3. ქალაქის, როგორც ისტორიულად წარმოქმნილი ერთიანი სოციალური სისტემურობის განვითარებისთვის;
4. თბილისის, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მძლავრი, თვითმყოფადი კულტურული კერის განვითარებისთვის.

1. თბილისის და მისი შემოგარენის ეკოსისტემის გაჯანსაღება გულისხმობს:

- ▶ თბილისის ისტორიული „მტერია“ მისი დამტვრიანების მაღალი ხარისხი, ამიტომ აქ გაბატონებული ქარების მავნე ზემოქმედებათა გასანეიტრალებლად საჭიროა შეიქმნას ძლიერი მწვანე ზოლები, რომელიც დაიცავს ქალაქს, „მოათვინიერებს“ ქარებს, აქცევს მათ კლიმატის გამაჯანსაღებელ პირობად. ამ საკითხის გადაჭრისათვის აუცილებელია, შეიქმნას ძლიერი სანერგე მეურნეობები და ქალაქის გამწვანების პროცესი წარმოადგენდეს ერთიან მიზანდასახულ საქმიანობას. ყოვლად დაუშვებელია თბილისისათვის შეუფერებელი ლანდშაფტური დიზაინის დამკვიდრება, რასაც ადგილი აქვს ამ ბოლო პერიოდში. თბილისის ესაჭიროება ტრადიციულად, ისტორიულად ჩამოყალიბებული მწვანე საფარი. ხეების და ბუჩქების ის სახეობები, რომლებიც მისაღებია მისი ლანდშაფტისათვის, ესადაგება მის კლიმატურ პირობებს და ქალაქში წელიწადის დროების შესაბამისად ქმნის სასურველ ჰავას;
- ▶ უნდა გაგრძელდეს ზრუნვა ქალაქის ჯანსაღი სასმელი წყლით მომარაგებაზე და ამ მიმართულებით ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ არსებული რეზერვები. თბილისის შეიძლება ჰქონდეს უმაღლესი ხარისხის იაფი სასმელი წყალი და თბილისის წყალსადენმა უნდა გადაჭრას მცხეთის, რუსთავის და გარდაბნის სასმელი წყლის მიწოდების პრობლემაც. სასმელი წყალი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სამეურნეო რესურსია და სწორედ თბილისში უნდა ხდებოდეს ამ პროდუქტის უცხოელ მომხმარებლებისათვის მიწოდების შესაძლებლობების დემონსტრირება.
- ▶ განახლდეს გასული საუკუნის 50-იანი წლების ტრადიციები თბილისის შემოგარენში არსებული ტბებისა და ხელოვნური წყალსაცავების რეკრეაციის მიმართულებით. მტკვრისა და მისი შენაკადების გაწმენდა-გასუფთავებისათვის სამუშაოებმა მიიღოს მუდმივი, მიზანდასახული საქმიანობის ფორმა;
- ▶ განხორციელდეს ღონისძიებები თბილისის თერმული წყლების დაძიების, მათი შენარჩუნებისა და გამოყენების თანამედროვე ფორმების შემუშავების მიმართულებით. ქალაქში შეიქმნას პირობები მზის და ქარის ენერგიის სამეურნეო საჭიროებების ათვისებისათვის. თითოეული სახლის, ეზოს და ქუჩის ეკოლოგიური სისუფთავისა და ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნისათვის.

2. თბილისის ეკონომიკური სისტემა უნდა წარმოადგენდეს მსოფლიო გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ჩართულობის მთავარ ინდიკატორს და ამავე დროს მას უნდა გააჩნდეს თვითკმარობის, შედარებით გამოცალკევებულობის გარკვეული ხარისხიც.

ამ მიზნით:

- ▶ თბილისის თვითმმართველობამ უნდა შეიმუშაოს მოქალაქეთა დასაქმების სპეციალური საქალაქო პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებით მიგრირებულ პირთა და ქანქარისებური მიგრანტთა დასაქმების პრობლემები;

შესაძლებელია გავიაზროთ სწრაფმზარდი ქალაქების სან-ფრანსცისკოს, რიო დე ჟანეიროს საქალაქო რაიონებში მაცხოვრებელთა ადგილზე დასაქმების გამოცდილებაც, მაგრამ ეს მთავარი ვერ იქნება, როგორც ჰგონიათ ქალაქის დღევანდელ მმართველებს, მთავარია, თანამედროვე ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ბაზაზე ორგანიზებული საქალაქო რეალური სექტორი, რომელიც ამავე დროს იქნება მსოფლიო ბაზარზე მოქმედი აქტიურ სანარმოთა ერთობლიობა.

- ▶ გამომდინარე საკუთარი მაღალი სამეცნიერო პოტენციალიდან თბილისში უნდა განვითარდეს მეცნიერტევადი წარმოება და მომსახურეობა. ამ მიზნისათვის, აქ არსებული უმაღლესი სასწავლებლები და მეცნიერებათა აკადემიის

ინსტიტუტები უშუალოდ უნდა ჩაერთონ ქალაქში რეალური ეკონომიკური პროცესების ორგანიზაცია განვითარებაში. შეიქმნას ტექნოპარკების სისტემა, სადაც ადგილობრივ მეცნიერულ მიღწევებს ექნებათ პრაქტიკაში გამოყენების ყველა პირობა. შეუმუშავდება მსოფლიო მონინავე ტექნოლოგიურ ცენტრებთან თანამშრომლობის პროგრამული მიმართულებები და შეიქმნება ამ მიმართულებათა განვითარების მხარდაჭერის მექანიზმები.

- ▶ ქალაქში რეალური სექტორის განვითარების მთავარი მიმართულება, მშენებლობა უნდა განხორციელდეს თანამედროვე დეველოპერული მეცნიერებისა და პრაქტიკის ბაზაზე. მხარდაჭერილი იქნება თანამედროვე მასალით დაპროექტებული შენობა ნაგებობები, სადაც გამოვიყენებთ მონინავე გამოცდილებას, როგორც არქიტექტურაში, ასევე საშენ მასალებსა და სამშენებლო კონსტრუქციებში.

მნიშვნელოვანია აღორძინდეს ეროვნული ქართული ტრადიციები სამშენებლო მექანიკის სფეროში, რომლის სათავეებთანაც იდგნენ, საქვეყნოდ აღიარებული ქართველი მეცნიერები ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ვ. კუპრაძე, გ. კაკუშაძე და სხვები, რომელთა ძალისხმევითაც შეიქმნა სპორტის სასახლე და სხვა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაგებობები. დაუყოვნებლივ შეწყდება ქალაქის უნიკალური რელიეფისადმი ბარბაროსული დამოკიდებულება, როდესაც ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების დივერსანტული მეთოდებით სახე ეცვლება ქალაქის უნიკალურ სამთო-კლიმატურ არეალს. დაბალანსებული რაციონალური ინდუსტრიული პროცესი გახდება განმსაზღვრელი, ქალაქმშენებლობის ყველა მიმართულებისათვის. მოხდება ძველი ისტორიული თბილისის რეკონსტრუქცია რეგენერაცია, ე.წ. ხრუშჩოვკების რეაბილიტაცია რეკონსტრუქცია, ახალი თანამედროვე ძვირადღირებული არქიტექტორული ანსამბლების აღმართვა და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისეთი მექანიზმების ჩამოყალიბება, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ხელმისაწვდომი გავხადოთ საცხოვრებელი ბინები ახლადშექმნილი ოჯახებისათვის, დავაკმაყოფილოთ უბინაო მოქალაქეები იაფი საცხოვრებელი ფართით.

- ▶ ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და კაპიტალის ბაზრის ორგანიზაციის ხელშეწყობისათვის განორციელდება სპეციალური მიზნობრივი ღონისძიებები. ამ თვალსაზრისით თბილისში უნდა შეიქმნას პირობები მსოფლიო კაპიტალის ბაზრების სამეურნეო ცენტრებთან ურთიერთობისათვის, რათა ამ ცენტრებში სრულად და საქმიანად იქნას წარმოდგენილი საქართველოს ინტერესები. სრულად იქნას გამოყენებული ელექტრონული კომუნიკაციები თბილისის საერთაშორისო საინვესტიციო ცენტრად ჩამოყალიბების მიზნით. მოკლე ხანში იგი უნდა გადაიქცეს კავკასიის რეგიონის მთავარ სამეურნეო ეკონომიკურ ცენტრად. ამ მიზნისათვის განხორციელდება მძლავრი მხარდაჭერები საბანკო სექტორის მიმართ. დიდი ყურადღება დაეთმობა მოქალაქეთა დაზღვევას, სადაზღვევო ბაზრის განვითარებას. სადაზღვევო და კაპიტალის ბაზრის განვითარება თბილისის წინაშე ახალ ისტორიულ ამოცანებს დასახავს, იგი გახდება სამხრეთ კავკასიის მთავარი საფინანსო ცენტრი;

- ▶ ქალაქის მართვის უმთავრეს დოკუმენტს წარმოადგენს მისი ბიუჯეტი. იგი, როგორც მთავარი საფინანსო გეგმა უშუალოდ უნდა იქმნებოდეს ქალაქის ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური განვითარების ინდიკატორების საფუძველზე და გამომდინარეობდეს ქალაქის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებათა პროგრამის მოთხოვნებიდან. უშუალოდ შეიქმნას თბილისის ბიუჯეტის როგორც შემოსავლების ფორმირების მკაცრად განსაზღვრული და კანონმდებლობით უზრუნველყოფილი ბაზა, აგრეთვე მისი ხარჯვის საყოველთაოდ აპრობირებული მექანიზმი;

დღეისათვის, ქალაქ თბილისის ბიუჯეტს პრაქტიკულად არა აქვს შევსების წყაროები, რადგანაც ქალაქის თვითმმართველობა მთლიანად მოკლებულია აწარმოოს ნორმატიული საქმიანობა მოქალაქეთა და ქალაქში გადაადგილებულ იურიდიულ პირთა შემოსავლებიდან ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზაციის მიზნით. მოკლებულია გამჭვირვალებას ქალაქის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი. მოქალაქეები პოსტ ფაქტუმ იგებენ, რომელიმე ქალაქმშენებლობისათვის მნიშვნელოვანი კულტურული ძეგლის გადაადგილების შესახებ. მომძლავრდა ქალაქისათვის მიუღებელი და უცხო ლანდშაფტური დიზაინის დამკვიდრების ფაქტები. ჩგარდა იმისა რომ ასეთი დიზაინი ჩვენი ქალაქისათვის არა იდენტურია იგი საკმარისზე ძვირიცაა. მერიის გადაწყვეტილებები ბიუჯეტის ხარჯვის საკითხებზე უცაბედი და შემთხვევითი ხასიითის მატარებელია. მაგალითად, სახლების გაფერადება, შადრევნების მშენებლობა, სახურავებისა და ლიფტების რემონტი, ძეგლებისა და შადრევნების ადგილიდან ადგილზე გადატანა და ა.შ. ბიუჯეტი უნდა იქმნებოდეს წინასწარ განსაზღვრულობათა საფუძველზე და სრულდებოდეს როგორც კანონი. მისი დარღვევის უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს. ქალაქის მერმა არ უნდა დაუშვას კანონიდან გადახვევის არც ერთი შემთხვევა, როდესაც იგი საჯაროდ ოქროს მედლებს ურიგებს მოსწავლეებს დეკემბერში, უნდა იცოდეს, რომ ეს საქმე გასაკეთებელი იყო სკოლის დირექტორების მიერ, იმავე წლის ივნისში.

თბილისისათვის საკლებით შესაძლებელია თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონეზე საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაცია და მისი მართვა საჯაროდ და გამჭვირვალედ, თბილისის მოქალაქეთა თანხმობით;

- ▶ საქართველოს ეკონომიკაში ამჟამად მიმდინარე სპეციალიზაციიდან გამომდინარე, თბილისი ხდება ტურისტული ინდუსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი, ამ მიზნისათვის მნიშვნელოვანი ქალაქში საბითუმო და საცალო ვაჭრობის სწორი ორგანიზაცია. ყებადაღებული ბაზრობების სწორი ორგანიზაცია და განთავსება. ქალაქში

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავაჭრო ადგილების გამოყოფა და თანამედროვე დონეზე ორგანიზება. სა-რესტორნო და სასტუმროების ბიზნესის ხელშეწყობა და მათი თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობა.

ამ სფეროში ქალაქის თვითმმართველობამ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს კონტრაფაქტს (ფალსიფიცირებულ და კუსტარულ, არაჯანსაღ, უსტანდარტო პროდუქციით ვაჭრობას). მკაცრად უნდა დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური და შრომის ინტენსიობის ორგანიზაციული ნორმები. მოამზადოს ყველა პირობა ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული სტანდარტების დასამკვიდრებლად. ხელი შეუწყოს ჩვენს სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას მათი შემდგომი მსოფლიო ბაზარზე გატანის მიზნით. დაამკვიდროს ალკოჰოლიანი და გამაგრილებელი სასმელებით ვაჭრობისა და მოხმარების საკუთარი სტანდარტები.

▶ ქალაქში უნდა შეიქმნას სათამაშო ბიზნესის მარეგულირებელი თანამედროვე საკანონმდებლო ბაზა. მკვეთრად გაემიჯნოს ერთმანეთს აზარტული თამაშობები და საკუთრივ სათამაშო ბიზნესი. დადგინდეს ამ ბიზნესის მონაწილეთა სტატუსი და მოწესრიგდეს მომახმარებელთა მომსახურეობის პირობები;

▶ საქალაქო ტრანსპორტის განვითარება თბილისისათვის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანაა.

ეს პრობლემა უკავშირდება, როგორც ქალაქის ეკოსისტემის განვითარებას ასევე მის სოციალური სისტემურობის საკითხს, მაგრამ იგი მაინც ქალაქგანვითარების ძირითად სოციალურ და საწარმო ინფრასტრუქტურას განეკუთვნება და გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მოქალაქეთა დასაქმების თვალსაზრისით, ამიტომ მას თბილისის ეკონომიკური განვითარების ასპექტში განვიხილავთ. ამ სფეროში განსაკუთრებით შეინიშნება ქვეყნის რეგიონებიდან დროებით მიგრირებული მუშახელის აქტიობა, რისთვისაც საჭიროა მათი საცხოვრებელი და სხვა აუცილებელი პირობებით უზრუნველყოფა.

მართალია ქალაქი ბუნებრივად კარგად ნიავედა, მაგრამ მისი რელიეფური თავისებურებებიდან გამომდინარე, მაინც არსებითია ავტოტრანსპორტის მავნე გამონაბოლქვის ზემოქმედება მოსახლეობაზე. აქ დიდ სიძნელებს განიცდის ავტოტრანსპორტი ქუჩების მოუწყობლობის, თვით სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობისა და სხვა მიზეზების გამო, ამიტომ აუცილებელია პრობლემების გადაჭრა სისტემურ, მეცნიერულ საფუძველზე განხორციელდეს. უნდა განახლდეს, ჩვენი ქალაქისათვის ერთ დროს დამახასიათებელი საბაგირო ტრანსპორტის მშენებლობა, მეტი ყურადღება მიექცეს მეტროპოლიტენის განვითარებას;

▶ ქალაქის თვითმმართველობამ უნდა შექმნას საბიუჯეტო ფონდები და ხელი შეუწყოს კოპერატიულ საკრედიტო ორგანიზაციებს მცირე ბიზნესისათვის საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობის მიზნით. მცირე ბიზნესის განვითარება მოქალაქეთა დასაქმების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. ამ თვალსაზრისით ქალაქის თვითმმართველობამ უნდა განახორციელოს არა მარტო ფინანსური მხარდაჭერა, არამედ უნდა შექმნას მოქალაქეთა გადამზადების ცენტრები, სადაც დაინტერესებული პირები გაეცნობიან მოწინავე გამოცდილებას მცირე ბიზნესის განვითარების სფეროში და შეექმნებათ საკუთარი ბიზნეს საქმიანობის წარმართვის სურვილი.

3. თბილისი, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული და მუდმივ განვითარების პროცესში მყოფი მოქალაქეთა სოციალური ერთობა, უნდა წარმოადგენდეს მრავალეროვან და სარწმუნოებრივად განსხვავებულ ადამიანთა თანაცხოვრების დაბალანსებულ ერთიან სოციალურ გარემოს. ამ მიმართულებით,

▶ თბილისისთვის, ისე როგორც ყველა სხვა ქალაქისთვის, ისტორიული იერსახის შენარჩუნებისა და განვითარებისა უმთავრეს საშუალებას წარმოადგენს მშენებლობა. ამ თვალსაზრისით მშენებლობა არის, ქალაქში შრომისა და წარმოების პროცესის ორგანიზაციის არა მარტო მთავარი პირობა, არამედ მის მოქალაქეთა საცხოვრებელი და სამუშაო, გადაადგილებისა და დასვენების უზრუნველყოფის აუცილებელი ატრიბუტი. ქალაქმშენებლობის პოზიციებიდან გამომდინარე, უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან საწარმო და ადმინისტრაციული დანიშნულების ნაგებობათა და საცხოვრებელი ფართის მშენებლობა;

▶ ნებისმიერი სოციალური, განსაკუთრებით ქალაქის ერთობის და თანაცხოვრების უმთავრეს მატერიალურ პირობას წარმოადგენს საერთო საკუთრებრივი ფასეულობები, რომლებიც ქალაქგანვითარების ინსტიტუციური თვალსაზრისით ექსტერნალებს წარმოადგენენ. საქალაქო ექსტერნალები ერთობლიობაში ქმნიან საქალაქო საწარმო და სოციალურ ინფრასტრუქტურას საზოგადოებრივ ქვაკუთხედს. მეტიც, წარმოადგენენ მოქალაქეთა შესაძლებლობების მიხედვით განვითარების მატერიალურ საფუძველს. ამიტომ, ქუჩების, ეზოების, ტროტუარების, სკვერების, პარკების და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ნაგებობათა თუ საინჟინრო-კომუნიკაციურ საშუალებათა განვითარება, მათი კეთილმოწყობა, ქალაქზე ზრუნვის უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს;

დაუშვებელია ტროტუარზე ნაგებობების აღმართვა, გასასვლელებისა და ჩიხების ჩახერგვა, სკვერებში სხვადასხვა სახის სამეურნეო დანიშნულების მოწყობა და ა.შ. ასეთი ყაჩაღურად მიტაცებული ექსტერნალიების დაკანონების მცდელობა კი განეკუთვნება ელიტარული კორუფციის იმ ნაირსახეობას, რომელიც საბაზრო ურთიერთობებს ავრცელებს პოლიტიკისა და დემოკრატიული თანაცხოვრების იმ სფეროში სადაც მას ადგილი არა აქვს;

► კომუნალური მეურნეობის განვითარება ქალაქმშენებლობის უმთავრესი ამოცანაა. მძლავრი საკანალიზაციო სისტემისა და ნიაღვრისაგან დამცავ ნაგებობათა გარეშე შეუძლებელია ნორმალური სანიტარული პირობების შექმნა, ამიტომ მიწისქვეშა საინჟინრო ნაგებობის მშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. აუცილებელია შეიქმნას ნაგვის გადამუშავების ინდუსტრიული კომპლექსი, რათა თანამედროვე დონეზე გადაწყდეს ქალაქში სისუფთავის პრობლემები. გასაღრმავებელია ქალაქის საცხოვრებელ კვარტლებში კომუნალური რეფორმაც. ამ სფეროში ბინების პრივატიზაციის შემდეგ პრაქტიკულად არ გადადგმულა რაიმე არსებითი ნაბიჯები, რაც იწვევს საქალაქო ექსტერნალიათა უყარათო გამოყენებასა და ხშირ შემთხვევაში მათ განადგურებას. განსაკუთრებით თვალში საცემია ქალაქის გათბობაში არსებული უსისტემობა. ყოველივე ეს, შეუძლებელია გადაწყდეს ქალაქში საბინაო რეფორმის შემდგომი გაღრმავების გარეშე, საცხოვრებელ ნაგებობათა, სამენარჩეო სათავსებსა და საზოგადოებრივ, საქალაქო საკუთრებაში არსებული (ლიფტები, სახურავები, კიბეები, შესასვლელი, ფასადები და ა.შ) ფასეულობათა შორის სწორი ურთიერთობების სისტემის შემუშავების გარეშე;

► თბილისის ერთიანი სოციალური სისტემის სწორი ფუნქციონირების ქვაკუთხედს წარმოადგენს მისი განთლების სისტემა, რომელიც მოიცავს სკოლამდელი ასაკიდან დაწყებული მოსახლეობის ფართო ფენას ხანდაზმული ასაკის ჩათვლით. ქალაქ თბილისის თვითმმართველობა ვერ იქნება შორიდან მაცქერალი ქვეყნის განათლების სისტემაში ამჟამად მიმდინარე რეფორმებისა. თბილისი, როგორც საქართველოში უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების სამჭედლო უნდა იყოს სასკოლო და უმაღლესი განათლების სისტემის ფორმირების სათავეებთან და ქმნიდეს სწავლებისა და განათლების საუკეთესო პირობებს. აუცილებელია განახლდეს ნიჭიერ ბავშვთა სპეციალიზირებული სკოლების სისტემის ფუნქციონირება. ასეთი სკოლები იქნება მომავალი მაღალკვალიფიციური კადრების საწყისი მომზადების საფუძველი, რომელიც აუცილებლად გამოიღებს დადებით შედეგებს;

► თბილისელები უკმაყოფილო არიან ამჟამად არსებული ჯანმრთელობის სისტემით. იგი არ არის ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი. აუცილებელია ქალაქის თვითმმართველობამ გაიაზროს, რომ ჯანმრთელობის დაცვა მთლიანად და განსაკუთრებით სამედიცინო მომსახურება წარმოადგენს შეზღუდულ ბაზარს, შესაბამისად მოითხოვს განსაკუთრებულ მხრდაჭერას სახელმწიფოსაგან. შეუძლებელია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება რეალიზებული იქნას სათანადოდ სპეციალური სადაზღვევო სისტემების გარეშე. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია არსებული უტილიტარულად (ბევერაჯის სისტემა) ორგანიზებული ჯანდაცვა გარდაიქმნას ისეთ სისტემად, სადაც უტილიტარიზმი შეჯერებული იქნება ჰუმანურობის პრინციპებთან (ბისმარკის სისტემა). ასეთი ჯანდაცვის ორგანიზაცია კი შესაძლებელია მხოლოდ საქალაქო ბიუჯეტის მხარდაჭერითა და სადაზღვევო სისტემის სწორი ორგანიზაციით;

ამჟამად პრეზიდენტისა და ქალაქის მერის ახალი ინიციატივა, სამედიცინო მომსახურებაში თანადაფინანსების ელემენტების შემოტანის თაობაზე, მეტად მოძველებულია და კრიტიკას ვერ უძლებს, მეტიც იგი კორუფციის წყაროდაც შეიძლება გადაიქცეს. გამოსავლის ძიება უნდა წარმართოთ, შეზღუდული ბაზრის რაობის და მისი თავისებურებების შესწავლიდან გამომდინარე. ბაზრის შეზღუდულობა ნიშნავს, რომ ამ სფეროში მიწოდება მოთხოვნის თანაფარდობაზე ზემოქმედებს მესამე ფაქტორი, ე.ი. სამედიცინო მომსახურებაში განმსაზღვრელია ექიმის ფაქტორი და არა მომსახურების ტარიფი. ეს იწვევს პაციენტის დაუცველობას, რითაც ხელმიუწვდომელი ხდება თანამედროვე სამედიცინო მომსახურება.

ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე დონეზე საქალაქო ორგანიზაციისა და მოსახლეობისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ პრიორიტეტებს:

ა) ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის თბილისის მერიამ ხელი უნდა შეუწყოს ალტერნატიული სამედიცინო მიმართულებების განვითარებასაც, განსაკუთრებით კი ტრადიციულ ქართულ სამკურნალ-ნამლო საშუალებათა თანამედროვე ცივილიზებულ სტანდარტებში მომხმარებლისადმი მიწოდების ორგანიზაციას;

ბ) თბილისის თვითმმართველობამ ნამდვილი ომი უნდა გამოუცხადოს ნარკომანიას, უნდა შეიქმნას ამ სოციალური სენის წინააღმდეგ ბრძოლის მწყობრი სისტემა;

გ) თბილისი როგორც ქვეყნის სამედიცინო ცენტრი ვალდებულია შექმნას თანამედროვე სამედიცინო კვლევების და ამ სფეროში უახლესი მეცნიერული მიღწევების დანერგვის პირობები და მექანიზმები;

დ) თვითმმართველობის სპეციალური ზრუნვის საგანი უნდა იყოს დედათა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სისტემა. ამ სფეროში ნეონატოლოგიური კვლევებიდან დაწყებული, ბავშვთა კვებით დამთავრებული საქმიანობა უმკაცრეს სახელმწიფო კონტროლს უნდა დაექვემდებაროს;

ე) უნდა დამუშავდეს და განხორციელდეს ინვალიდთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სამედიცინო და სარეაბილიტაციო პროგრამები;

ვ) შექმნას ჯანსაღი ცხოვრების წესის პირობები და მუდმივად განახორციელოს მისი პროპაგანდა.

► თბილისში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იძულებით გადაადგილებულ პირებს. უნდა შექმნას მათი შრომისა და საზოგადოებრივი აქტივობის პირობები. თბილისში უნდა არსებობდეს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ, აგრეთვე ეკოლოგიური ან სხვა რაიმე მიზეზებით მიგრირებულ პირთა მიღებისა და მომსახურების პირობები, თბილისის თვითმმართველობა ვერ იქნება პასიური დამკვირვებელი, თუ როგორ საქმიანობს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ამ მიმართულებით;

► თბილისი ისტორიულად წარმოადგენს მრავალეროვნულ ქალაქს, ამიტომ აუცილებელია დამუშავდეს არა ქართული ეთნოსის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საქალაქო პროგრამა. ყველა ეროვნებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საკუთარი კულტურული თვითგამორკვევის და განხორციელების ღონისძიებები მათი საქალაქო სოციალურ სწრაფი და ეფექტიანი ადაპტაციისა და ინტეგრაციისათვის. განსაკუთრებით მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ ეგრეთ წოდებული ეროვნული უმცირესობებისადმი, ისინი თბილისში ისე უნდა გრძნობდნენ თავს როგორც საკუთარ სამშობლოში;

► გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადია, ამ პროცესში გამოიწვია მრავალი ჩვენი თანამემამულის მიგრირება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ბევრი მათგანი კი უკეთესი სოციალური მატერიალურ-ნივთობრივი პირობების ძიებაში გადაიკარგა. თბილისი ერთადერთია, ქვეყნის სხვა ადმინისტრაციული ერთეულებისგან განსხვავებით, რომელსაც ძალა შესწევს აღრიცხოს ქართველი ემიგრანტები მოახდინოს მათი პროფესიული და სქესობრივ-ასაკობრივი კლასიფიკაცია და საჭიროების შემთხვევაში შესთავაზოს მათ სამშობლოში დაბრუნება. შექმნას მათთან ურთიერთობის მექანიზმები და თანამედროვე ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით ჩვენი ცხოვრების თანამონაწილეებად აქციოს ისინი.

4. კულტურული განვითარების უზრუნველყოფა და ქართული კულტურის საერთაშორისო მასშტაბით გატანის მხარდაჭერა:

► გლობალიზაციის რთული და მრავალმხრივი პროცესი ქმნის ახალ გამოწვევებს ქართული კულტურის განვითარებისთვის. მიმდინარეობს ერთგვარი კულტურული დიალოგი, რომლის წარმართვაშიც თბილისს ეკისრება განმსაზღვრელი ფუნქცია მსოფლიო კულტურათა მრავალფეროვნებაში ქართული კულტურის ინტეგრაციისათვის. თბილისში კულტურის კერების მხარდაჭერა ნიშნავს, მოიძებნოს ისეთი ფორმები და მექანიზმები, რომლებიც შეათანხმებენ ერთმანეთთან გლობალიზაციისა და მომდინარე ერთიან, ბრუტლანდის კომიტეტის მიერ განსაზღვრულ კულტურის ნორმებსა და ეროვნულ კულტურულ ფასეულობებს. შექმნის მათ შორის თავსებადობის და მათი ერთობლივი განვითარების პირობებს. მაღალი ხელოვნების მხარდაჭერასთან ერთად განვითარდება მასობრივი კულტურის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქართული ფოლკლორული ხელოვნების შესწავლას და დემონსტრირებას;

► საქართველოში, ყველა მისი მოქალაქისათვის მთავარი კულტურული, მემკვიდრეობითი ფასეულობა ქართული ენაა. თბილისის თვითმმართველობა უნდა ზრუნავდეს ქართველოლოგიური სამეცნიერო ცენტრების მხარდასაჭერად. ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის რაციონალური პირობების შესაქმნელად. ქართული მწერლობისა და ლიტერატურათმცოდნეობისათვის ხელისშეწყობა უნდა იქცეს თბილისის კულტურული მისიის განხორციელების მაცემენტირებელ რგოლად. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს მთარგმნელობით საქმიანობას და თანამედროვე მეცნიერების, ტექნოლოგიის, ბიზნესის და სხვა სფეროების იმ ტერმინთა, რომლებიც სხვათა ძალისხმევით სხვა ენებზე შეიქმნა, გაქართულებას. უნდა დამყარდეს ეფექტური კონტროლი ქართული ენის გამოყენებასა და სწავლებაზე, რათა მისი შესწავლა აუცილებელი და ხელმისაწვდომი გახდეს ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის;

► თბილისი გახდა პოლიფონიური მუსიკის მსოფლიოს დედაქალაქი, ეს ფაქტი საყურადღებოა, მაგრამ თვით ქალაქის თვითმმართველობას ამ ფაქტთან რეალური დამოკიდებულება არ აქვს, ეს მის გარეშე განხორციელდა ქართული კულტურის ცალკეული მესვეურების ძალისხმევით. უნიკალური ქართული მრავალხმიანი მუსიკა მსოფლიოში აღიარებული იქნა, შესაბამისად თბილისის თვითმმართველობა უნდა გახდეს მის შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის აქტიური შემოქმედი, საჭიროა შემუშავდეს ფორმები და საშუალებები, რომლებიც ცხადს გახდის პოლიფონიური მუსიკის ქართულ პრიორიტეტს და გაცნობს მსოფლიოს მას;

► თბილისში მუდმივად დიდი ყურადღება ეთმობოდა მატერიალური კულტურის მემკვიდრეობითი ფასეულობების აღდგენა-შენარჩუნების პრობლემებს, ამ მიმართულებით ქალაქს აქვს სათანადო გამოცდილება, მაგრამ ცხოვრება ახალ გამო-

წევრებს გვთავაზობს და საკითხის რაციონალური მოგვარებისათვის, საჭიროა ახალი ინიციატივები. ამ თვალსაზრისით, მთლიანად გადასასინჯია ქალაქის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ფონდი.

კლასიკური მაგალითია, აბანოუბანში, გასული საუკუნეების ქოხმახების რეაბილიტაცია და დავით აღმაშენებლის დროინდელი მონასტრის ნაშთებისადმი უყურადღებობა. ასეთი მაგალითები მრავლდა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ფსევდო კულტურულ ფასეულობებს ეწირება ცალკეული ბიზნეს ინტერესები;

გადასასინჯია ქალაქის ქუჩების დასახელებები

- ▶ მეცნიერება ყოველთვის ითვლებოდა ქართული კულტურის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. ქართველ მეცნიერთა მიღწევების მსოფლიო მნიშვნელობა ყველასათვის თვალსაჩინო იყო. ამჟამადაც ჩვენი მეცნიერები წარმატებით მოღვაწეობენ მსოფლიოს ბევრ სამეცნიერო ცენტრში. სამწუხაროდ ბოლო პერიოდში შესამჩნევია, რომ განვიცდით ახალგაზრდა მეცნიერთა ნაკლებობას განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო დარგებში. მიუხედავად იმისა რომ მეცნიერება წარმოადგენს საერთო სახელმწიფოებრივი ზრუნვის ობიექტს, თბილისის თვითმმართველობა ვალდებულია შექმნას ქალაქში მეცნიერთა ცხოვრების სასურველი პირობები და ხელი შეუწყოს საქართველოდან დროებით მიგრირებულ მეცნიერთა შინდაბრუნების ამოცანათა გადაწყვეტას. შექმნას ორიგინალურ გამოკვლევათა პრაქტიკაში რეალიზაციის ხელშემწყობი პირობები. გზა გაუკვალოს ახალგაზრდობას მსოფლიოს აღიარებულ სამეცნიერო სასწავლო ცენტრებში სამუშაოდ;
- ▶ ქალაქის თვითმმართველობა ვალდებულია შეიმუშაოს სპეციალურ ღონისძიებათა სისტემა თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და რიგ შემთხვევებში მიღწეულ ღონეთა შესანარჩუნებლად. განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინოს კინემატოგრაფს, რათა ქართული კინოს სახელი კვლავ გაბრწყინდეს. სახვითი ხელოვნების მხარდასაჭერად ქალაქს უამრავი შესაძლებლობა ჩგაჩნია, რადგანაც ქალაქმშენებლობის პროცესი უშუალოდ უკავშირდება და დამოკიდებულია მხატვრებისა და დიზაინერების საქმიანობასთან.
- ▶ რელიგიური თანაცხოვრების პირობების შექმნა, ქართული მართლმადიდებელი ტოლერანტობის გამოვლინებათა მხარდაჭერა, რელიგიური დანიშნულების ნაგებობათა მოვლა-პატრონობა და საქალაქო მეურნეობაში რელიგიურ კონფესიათა მონაწილეობის მექანიზმის ამოქმედებით, მათი საქმიანობის პირობების გაუმჯობესება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა თბილისის თვითმმართველობის. ამ თვალსაზრისით, ქალაქის თვითმმართველობის ათვლის წერტილი უნდა იყოს მართლმადიდებლობის ისტორიული როლის აღიარება საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარებაში;
- ▶ ქალაქში უნდა გაფართოვდეს თბილისელთა და თბილისის სტუმართა დასვენების კერები, უნდა შეწყდეს მწვანე ნარგავებისადმი უკონტროლო და უსისტემო დამოკიდებულება, რადგანაც სწორედ დასვენების კერები ქმნიან მოქალაქეთა თავისუფალი დროის შინაარსიანი გამოყენების პირობებს.

ამ ოთხი მიმართულებით მუდმივი და ეფექტური საქმიანობა უზრუნველყოფს თბილისის მდგრად განვითარებას მისი ისტორიული იერსახის შენარჩუნებას და აქცევს მას მსოფლიო სამეურნეო და კულტურულ ცენტრად.

გარდა ამ პროგრამული მიმართულებისა თბილისში გამომდინარე მოცემული ისტორიული მომენტის თავისებურებებიდან შემუშავებული იქნება სპეციალური პროგრამები. მაგალითად, მოცემულ მომენტში აუცილებლად მიგვაჩნია დამუშავდეს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქალაქო პროგრამა, რათა ქალაქში განხორციელდეს ძალისხმევები ამ საშიშელი ძალის დამანგრეველი შედეგების ნეიტრალიზაციისათვის და მისი შესაძლებლობების ფარგლებში ბლოკირებისათვის.

თბილისის თვითმმართველობა მთლიანად უნდა იაზრებდეს საქართველოს სახელმწიფო, საგარეო, თავდაცვისა და უშიშროების პოლიტიკურ კურსს. ამ კურსიდან გამომდინარე, მან ფართო კონტაქტები უნდა დაამყაროს დაძმობილებულ ქალაქებთან, სხვადასხვა რეგიონალურ გაერთიანებებთან, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეძლოს ქართული სახელმწიფოებრიობის, მისი სუვერენიტეტის განმტკიცების მხარდაჭერა.

თბილისის მართვის გაუმჯობესების მიმდინარე ამოცანები

მიმდინარე სამუშაოთა თვალსაზრისით ქალაქის თვითმმართველობის უმთავრესი ამოცანაა საქმიანობის დისციპლინარული და საკონტროლო ფუნქციათა სწორი და რაციონალური შეთანხმება, რაც გულისხმობს მიმდინარე ადმინისტრაციული ხასიათის პრევენციული ზომების ქმედით გატარებასთან ერთად დასრულებულ სამეურნეო და სხვა ხასიათის სამუშაოთა შესრულებაზე მკაცრ კონტროლს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბიუჯეტო ასიგნებების სწორი, მიზნობრივი და ეფექტურ ხარჯვაზე საზოგადოებრივი ზემოქმედების სწორი ორგანიზაცია. საქალაქო სახსრების რაციონალი გამოყენების მიზნით საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება.

საკადრო საკითხებში პარტიკულარულ მიდგომათა ნეიტრალიზაცია. კადრების შერჩევა და დანიშვნა მათი კომპეტენციის გათვალისწინებით. პროფესიონალების მოზიდვა მათთვის შესაბამის თანამდებობებზე და შესაფერისი შრომითი ფუნქ-

ციებით აღჭურვა. საქალაქო სამსახურებში ადმინისტრირების თანამედროვე, საბაზრო მეთოდების დანერგვა.

თბილისის თვითმმართველობის მიმდინარე სამეურნეო და ადმინისტრაციულ ამოცანათა გადაწყვეტის გარანტიაა მისი ორგანიზაციული სტრუქტურა. სწორად და რაციონალურად აგებული ქალაქის თვითმმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სათანადო კომპეტენციის კადრებით, განაპირობებს თბილისის მიმდინარე ოპერატიულ საკითხთა დროულ და რაციონალურ გადაწყვეტას.

თბილისის მერიის ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოგვიდგენია:

1. ქალაქის მთავარი არქიტექტორი, რომელიც აღჭურვილი იქნება ვიცე-მერის კომპეტენციით და კოორდინაციას გაუწევს კოლეგიალურ ორგანოს სადაც შევლენ, ქალაქის მთავარი მხატვარი, მთავარი დიზაინერ ლანდშაფტისტი და მთავარი არქეოლოგი. აგრეთვე, მისი კომპეტენციის ფარგლებში შევლენ 1) მიწისქვეშა ნაგებობების, კომუნიკაციებისა და მშენებლობის მთავარი ინჟინერი და მისი სამსახური; 2) მიწისზედა სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის მთავარი ინჟინერი და მისი სამსახური და 3) სამშენებლო დეპარტამენტი.
2. სკოლამდელი აღზრდის, სასკოლო და უმაღლესი განათლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების დეპარტამენტის დირექტორი, ვიცე-მერი მერის კომპეტენციით, რომელსაც დაექვემდებარება კულტურის, სპორტის, დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენების დეპარტამენტი.
3. ქალაქის მთავარი ექიმი და მისი სამსახური, მას დაექვემდებარება აგრეთვე, 1) უსაფრთხო კვების და სანიტარული ნორმების დაცვის დეპარტამენტი, 2) პენსიონერთა და შრომის უნარ დაქვეითებულ მოქალაქეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და სოციალური დახმარების დეპარტამენტი.
4. სტატისტიკის, ინდიკატორული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების დეპარტამენტი;
5. საგარეო და საშინაო ურთიერთობების დეპარტამენტი, დიდი თბილისის პროგრამის კურატორი, პირველი ვიცე-მერი;
6. ქალაქის საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო დანაშაულებათა დევნის დეპარტამენტი, ქალაქის შერიფი.
7. კანცელარია.

დარწმუნებული ვარ, ქალაქის განვითარების მიზნით ჩამოყალიბებული პროგრამული ხედვები სასარგებლო იქნება ამომრჩევლებისათვის და მერობის კანდიდატებისთვისაც, როგორც საქალაქო ცხოვრების, მისი ყოველდღიურობისა და პერსპექტივების მიზნით განეული სამუშაოების ალტერნატივა.

მზად ვარ მივიღო ამ პროგრამისადმი გამოთქმული ყველა წინანდადება და შენიშვნა. უმკაცრეს კრიტიკასაც გაგებით შევხვდები.

მადლობას ვუხდის ყველას ვინც გაეცნობა, თბილისის შემდგომი განვითარების შესახებ, ჩემს მიერ, წარმოდგენილ პროგრამულ ხედვებს.

4.3. ირაკლი ალასანი და „ალიანსი საქართველოსთვის“

თბილისელთა დასაქმების პროგრამა

„ოცი ათასი ახალი საოჯახო და მცირე საწარმო თბილისში“

I. „საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდის“ შექმნა

„ალიანსი საქართველოსთვის“ დასაქმების პროგრამა, „ოცი ათასი ახალი საოჯახო და მცირე საწარმო თბილისში“, ითვალისწინებს დედაქალაქში ოცი ათასი საოჯახო და მცირე საწარმოს შექმნას საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდის მეშვეობით.

მსოფლიო მასშტაბით ბიზნესის 95%-ზე მეტს მცირე და საშუალო მენარმოება წარმოადგენს და ამ სეგმენტში წარმოებული პროდუქტი მთლიანი შიდა პროდუქტის 50%-ა. აშშ-ში არსებული საწარმოების 90%-ზე მეტი მცირე საწარმოა, სადაც 10-მდე ადამიანი დასაქმებული, ხოლო ევროკავშირში მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა კერძო სექტორში დასაქმებულების 2/3-ს შეადგენს.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხვედრითი წილი მშპ-ში დაახლოებით ოთხჯერ დაბალია, ვიდრე ევროკავშირში. ქვეყანაში ისედაც შემცირებული ბიზნეს აქტივობის ფონზე, როცა მუდმივად იზრდება უმუშევრობა და საგრძნობლად იკლებს დასაქმებულთა შემოსავლები, სახელმწიფოს მხრიდან გრძელდება ბიზნესის დაკანონებული რეკეტი. ნაცვლად იმისა, რომ უფრო ლიბერალური გახადოს ბიზნესგარემო, ხელისუფლება კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას და საგადასახადო ტერორს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესს.

საქართველოში უმუშევრობის დონე გაიზარდა და დღეისთვის ოფიციალური სტატისტიკით 17%-ს შეადგენს, ხოლო ექსპერტთა შეფასებით, ეს რიცხვი ბევრად უფრო დიდია და დაახლოებით 30%-ის ფარგლებშია.

თბილისში უმუშევრობის მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა. ოფიციალური სტატისტიკით, 2000 წელს უმუშევრობის დონე თბილისში 20%-მდე იყო, ხოლო 2010 წელს ამ მაჩვენებელმა 30%-ს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთაა გასული, ექსპერტთა შეფასებით, რეალურმა უმუშევრობამ, არასრული და დროებითი დასაქმების გათვალისწინებით, 40%-ს გადააჭარბა.

ბოლო წლებში უმუშევრობა საგრძნობლად გაიზარდა დღეს თბილისში 40%-ზე მეტი უმუშევარია.

საქართველოში არსებული პრაქტიკის მიხედვით ახალი მცირე საწარმოების მხოლოდ 20% ახერხებს ბიზნესის შენარჩუნებას და განვითარებას, ხოლო მსოფლიო გამოცდილებით მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრების მხარდაჭერით შექმნილი საწარმოების 85%-ზე მეტი ახერხებს ბაზარზე თავის დამკვიდრებას.

ქვეყანაში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად გაართულა სესხის აღების პროცედურები. მიუხედავად კომერციულ ბანკებში არსებული ჭარბი რესურსებისა, ბანკების უმრავლესობა განსაკუთრებით ერიდება დამწყებ მენარმეებზე კრედიტის გაცემას, რადგან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საგარანტიო უზრუნველყოფა და მაღალი რისკები. ამასთან, მაღალმა საპროცენტო განაკვეთებმა სრულიად არამომგებიანი გახადა კრედიტის აღება.

არსებული გამოწვევების საპასუხოდ ჩვენ განვახორციელებთ მუნიციპალურ პროგრამას – „ოცი ათასი ახალი საოჯახო და მცირე საწარმო თბილისში“, რომელიც მიზნად ისახავს, საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების გზით, დასაქმების პრობლემის ეტაპობრივად მოგვარებას და თბილისელების სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას.

პროგრამის განხორციელებისათვის, ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ შეიქმნება „საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი“, არამომგებიანი ორგანიზაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, სადაც, სანყის ეტაპზე, აკუმულირდება არანაკლებ 120 მილიონი ლარი. ამ ფონდის წყარო იქნება:

- ▶ მუნიციპალური ბიუჯეტის ტრანსფერი - 50 მლნ ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების 10%-მდე);
- ▶ მუნიციპალური გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები - არანაკლებ 50 მლნ ლარი;
- ▶ დონორებისგან მოზიდული სახსრები - 20 მლნ ლარი.

ასეთი ფონდები მსოფლიოს ბევრ განვითარებულ ქვეყანაშია აპრობირებული მაგალითად, ესტონეთში, ფინეთში, პოლონეთში, ლიტვაში, უნგრეთში, და წარმოადგენენ მცირე და საოჯახო ბიზნესისთვის საბანკო და სხვა საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის საუკეთესო საშუალებას.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი ხელს შეუწყობს ქალაქში ახალი ბიზნესპროექტების განხორციელებას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

**„საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი“ უზრუნველყოფს
საოჯახო და მცირე მენარმეებს საპროცენტო გარანტიით და სესხის დაბალი საპროცენტო განაკვეთით.**

„საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარების ფონდიდან“ სესხის აღების ძირითადი პირობები:

1. სესხის ოდენობა – 20,000 ლარამდე;
2. საპროცენტო განაკვეთი – 8%;
3. შეღავათიანი, 50% - იანი საკრედიტო გარანტია;
4. სესხის დაფარვის პერიოდი – 36 თვემდე;
5. შეღავათიანი პერიოდი – 6 თვემდე (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე).

**20 ათასი საოჯახო ბიზნესი და მცირე საწარმო მიიღებს
შელაპატიან 8 %-იან სესხს**

ფონდის ფუნქციონირების მექანიზმი

ვარიანტი (ა): ფონდში აკუმულირებული სახსრების გაცემა მოხდება რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მეშვეობით საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად ჩატარებული ტენდერის საფუძველზე.

ფონდის მიერ წინასწარ განსაზღვრული პირობების შესაბამისად მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საოჯახო და მცირე საწარმოებზე გასცემენ სესხებს და განეული მომსახურეობისათვის მიიღებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ საკომისიოს.

ვარიანტი (ბ): ფონდში აკუმულირებული სახსრების გაცემა მოხდება რამდენიმე კომერციული ბანკის მეშვეობით საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად ჩატარებული ტენდერის საფუძველზე.

კომერციული ბანკების მეშვეობით ფონდის 100 მლნ ლარი უზრუნველყოფს დაახლოებით 20 000 მსესხებელისთვის მყარ გარანტიას სესხის 50%-ზე, სადაც სესხის ოდენობა არ აღემატება 20,000 ლარს. ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ 10,000 ლარიანი სესხის პირობებში, ნახევარი თანხის, ანუ 5 000 ლარის, გარანტორი იქნება ფონდი.

ფონდში აკუმულირებული 100 მილიონი ლარი განთავსდება კომერციულ ბანკებში დეპოზიტზე იმ დროისთვის საბანკო სისტემაში არსებული სარგებლის განაკვეთით, სავარაუდოდ 8%-ად. განთავსება მოხდება ყოველთვიურად 8-10 მილიონის ფარგლებში. ამავდროულად, ფონდის მიერ განთავსებული თანხა წარმოადგენს ბანკის მიერ გასაცემი 200 მილიონი ლარის სესხის 50%-იან რისკში თანამონაწილეობას.

მაგალითისათვის, საშუალო 10,000 ლარიანი სესხის პირობებში, სასესხო თანხის ნახევარი - 5 000 ლარი – წარმოადგენს, ფონდის 50%-იან თანამონაწილეობას რისკში, ხოლო მეორე ნახევარი – 5,000 ლარი, თავად ბანკის თანამონაწილეობა რისკში (ამისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსესხებლის საგირავნო ქონება). სესხის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება დღეისთვის ბაზარზე მოქმედი განაკვეთით - საშუალოდ, არაუმეტეს 16 %-ით.

სესხის პროცენტის დაფარვა მოხდება 8%-ით მსესხებლის მიერ, ფონდის მიერ ბანკის დეპოზიტზე აკუმულირებული 8%-იდან მიღებული სარგებლით და დარჩენილი ბანკის ნაწილში 8%-ის კომპენსირება მოხდება ფონდის ხარჯზე საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების გზით .

შედეგად, მცირე და საოჯახო ბიზნესის დაწყების მსურველებს ექნებათ საშუალება, დღეს ბაზარზე არსებული საშუალოდ 16%-იანი სესხის ნაცვლად, აიღონ შეღავათიანი - 8%-იანი სესხი. სესხის დაფარვის პერიოდი იქნება 36 თვემდე. საჭიროების შემთხვევაში, მსესხებელს ექნება საშუალება აიღოს 6 თვემდე საშელავათო პერიოდი – პროცენტის დაფარვა დაიწყოს სესხის აღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

ფონდის საქმიანობის მასშტაბი, სავარაუდოდ, ყოველწლიურად გაიზრდება, გაგრძელდება მასში ინვესტირება, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დინამიურ და მდგრად განვითარებას. გრანტით მიღებული სახსრები, 20 მილიონი ლარი გამოყენებული იქნება ფონდის მიზნებისათვის, მათ შორის, საკონსულტაციო ცენტრებისა და ბიზნეს-ომბუდსმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და გაძლიერებისათვის.

ამის პარალელურად, მენარმეთა ნაწილის მიმართ შესაძლოა მოხდეს სალიზინგო ინსტრუმენტების შეთავაზება. ფინანსური თუ ოპერაციული ლიზინგის განხორციელება საშუალებას მისცემს მსესხებელს შეამციროს კაპიტალური და საგადასახადო ხარჯები და ამასთანავე, აღნიშნული საფუძველს ჩაუყრის საქართველოში სალიზინგო პრაქტიკის დამკვიდრებას.

ფონდის ადმინისტრირება

აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის იქმნება ფონდის ადმინისტრირების ჯგუფი, რომლის ფუნქციები იქნება, პროგრამის პარტნიორ ბანკებთან ერთად, სესხების გაცემის კრიტერიუმების დადგენა, პროგრამის განხორციელების ფარგლებში შექმნილი საკონსულტაციო ცენტრების საქმიანობის კოორდინაცია, პროგრამის მიმდინარეობის მონიტორინგი და შედეგების შეფასება.

ფონდის საქმიანობის გამჭვირვალებას და ხარისხის ზედამხედველობას გაუწევს ფონდის სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრები იქნებიან, როგორც მერიის, ისე საკრებულოს წევრები (მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლები), მცირე ბიზნესმენთა ასოციაციების, საბანკო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

მენარმეებისათვის ინტელექტუალური მხარდაჭერა საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით

დამწყები მენარმეების ინტელექტუალური მხარდაჭერისთვის დედაქალაქის მასშტაბით შეიქმნება 10 საკონსულტაციო ცენტრი.

საკონსულტაციო ცენტრში დამწყები მენარმეები მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან უფასოდ მიიღებენ კონსულტაციებს ბიზნესგეგმის მომზადებისა და მცირე ბიზნესის წამოწყებისათვის საჭირო იურიდიულ, ფინანსურ და მარკეტინგულ საკითხებში. საკონსულტაციო ცენტრები განთავსდება მუნიციპალიტეტის შენობებში.

ფონდი შექმნის ინფორმაციულ ბანკს, რომელშიც თავს მოიყრის განმცხადებელთა მონაცემები, მოსაზრებები და წინანდებები. მაღალკვალიფიციურ კონსულტანტებთან ერთად შეირჩევა ღირებული ნოვაციები და საინტერესო წინადადებები, რომელთა საფუძველზე შეიქმნება „იდეათა ბანკი“.

ცენტრი ასევე უზრუნველყოფს იმ განმცხადებლების ინტელექტუალურ მხარდაჭერას, რომელთა იდეები და წინადადებები სცილდება საოჯახო და მცირე ბიზნესის კატეგორიას და შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარება მათ ინვესტორების მოძიებაში.

ცენტრებში ასევე განხორციელდება უფასო გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სხვადასხვა პროგრამები განმცხადებლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

II. მენარმეების და მესაკუთრეების უფლებების დაცვა ბიზნეს-ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებით

საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო წლებში განმავლობაში გატარებულმა ბიზნესის დატერორებისა და დაშინების პოლიტიკამ მრავალი მენარმე დააზარალა. არ არსებობს კერძო მესაკუთრეთა და ბიზნესმენთა დაცვის ინსტიტუციონალური ბერკეტები. მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანი განვითარებისათვის აუცილებელია მენარმეებს ჰქონდეთ უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მყარი გარანტიები.

ჩვენ შევქმნით ბიზნეს-ომბუდსმენის ინსტიტუტს, რომელიც დაიცავს მენარმეების უფლებებს და ამით ხელს შეუწყობს თბილისში საოჯახო და მცირე ბიზნესის განვითარებას. ომბუდსმენის წარმომადგენლები იმუშავენ თბილისის ათივე რაიონში გახსნილ საკონსულტაციო ცენტრებში. ბიზნეს-ომბუდსმენი და მისი წარმომადგენლები დაეხმარებიან მენარმეებს სხვადასხვა ადმინისტრაციული დავების მოგვარებაში, მათ შორის, მერიის სამსახურებთან ურთიერთობისა და წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში.

ასევე პროგრამის განხორციელების შედეგად:

1. გაიზრდება ეკონომიკური აქტივობა და შესაბამისად, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი;
2. თბილისის ბიზნეს-ომბუდსმენი დაიცავს მენარმეების და მესაკუთრეების უფლებებს დედაქალაქში;
3. მენარმეებს ინტელექტუალური მხარდაჭერა გაეწევა საკონსულტაციო ცენტრების მეშვეობით;
4. შექმნება საოჯახო და მცირე ბიზნესის ახალი ბიზნეს – კულტურა.

III. სოციალური პროგრამა

საქართველოს დღემდე არ გააჩნია დეკლარირებული და დაკანონებული სოციალური კონცეფცია და პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, რეფორმები ხორციელდება ქაოტურად და უსისტემოდ.

პენსიის, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანების შემწეობის, სხვა სოციალური გასაცემლების და დახმარებების უკიდურესად დაბალი დონის გამო (ის „სასურსათო კალათასაც“ ვერ ავსებს!) არ გადანაწევებულა არცერთი სოციალური პრობლემა. თბილისში სოციალური ფონი კატასტროფულია. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ რეგისტრირებული ადამიანების რიცხოვნება უკანასკნელ წლებში გაიზარდა 3 –ჯერ და მიაღწია 87,000 ოჯახს, ანუ 270,000 ადამიანს.

თბილისში ყოველი მეოთხე ადამიანი ღარიბ-ღატაკია, ხოლო მათი შემწეობა შეადგენს 30 ლარს თვეში

არსებული პრობლემები:

1. ბიუჯეტის გაუმჭვირვალობა

თბილისის ბიუჯეტში სოციალური ხარჯების გაუმჭვირვალობა „მყარი ტრადიციაა“:

- ▶ 2008 წელს – 52,8 მილიონი ლარიდან გაუმჭვირვალე იყო 27,9 მილიონი ლარი, ანუ 52,8% ;
- ▶ 2009 წელს – 63,5 მილიონი ლარიდან გაუმჭვირვალე იყო 21,3 მილიონი ლარი, ანუ 33,4%.

**2010 წლის თბილისის სოციალური ბიუჯეტი 120 მილიონი ლარია.
სოციალურ ბიუჯეტში გაუმჭვირვალეა 67 მილიონი ლარი, ანუ 56%.**

შედეგად:

ქალაქის საკრებულო, როგორც არჩევითი ორგანო, ამტკიცებს სოციალური ბიუჯეტის მხოლოდ დაახლოებით ნახევარს, ხოლო მეორე ნახევრის ხარჯვის უფლებას „უკანონებს“ მერს და მის მიერ დაქირავებულ მოხელეებს!

ჩვენ მივალწევთ:

მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე ქალაქის სოციალური ბიუჯეტის გამჭვირვალობას 100%-ით:

- ▶ თითოეული მიზნობრივი პროგრამა შემუშავდება და დამტკიცდება საზოგადოებისა და საკრებულოს აქტიური, ღია და გამჭვირვალე მონაწილეობით;
- ▶ ბიუჯეტის შესრულება დაექვემდებარება მკაცრ კონტროლს საკრებულოს შესაბამისი კომისიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან;

2. საპენსიო უზრუნველყოფა:

საქართველოში დღეს მოქმედ სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფას ანალოგი არ გააჩნია. ჩვენთან უგულებელყოფილია საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის, ცივილიზებულ სამყაროში მე-19 საუკუნიდან აღიარებული, ისეთი პრინციპები, როგორიცაა **სამართლიანობა, სოლიდარობა და დიფერენცირება**.

არ გაგვაჩნია სახელმწიფო პენსიის საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი განმარტებაც კი და ის გაიგივებულია სახელმწიფო შემწეობასთან. მისი ოდენობის დიფერენციაცია ხორციელდება ე.წ. „დამსახურების“ მიხედვით. „დამსახურებად“ მიჩნეულია მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქის მიერ ნამსახურები წლების რაოდენობა და არა „სადაზღვევო სტაჟი“ და „სადაზღვევო პენატანი“, როგორც ეს მიღებულია მსოფლიოში.

უფრო მეტიც, საქართველოში მოქმედი შრომის კანონმდებლობით, მომავალში **შეუძლებელი გახდება**, აღრიცხვის სისტემის გაუქმების შედეგად, არათუ სადაზღვევო პენატანის აღრიცხვა, არამედ მოქალაქის მიერ **ნამსახურები წლების რაოდენობის დადგენაც**. სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ **2010 წლიდან ყირგიზეთშიც კი, დაკანონებული და ამოქმედებულია „სადაზღვევო სტაჟის“ და „სადაზღვევო პენატანის“ ცნებებიც და მათი აღრიცხვის პერსონიფიცირებული სისტემა**.

საქართველოს გარდა, რეგიონის ყველა, მათ შორის, პოსტსაბჭოთა ქვეყანაში საპენსიო გასაცემლების ფინანსური წყაროა სოციალური შენატანი. ამ ქვეყნებში მისი ოდენობა მერყეობს შრომის ანაზღაურების ფონდის 15%-დან 32%-მდე. მაგალითად, ლიტვაში – 30,8%, რუსეთში – 27%, აზერბაიჯანში–22%, ყირგიზეთში – 17,25%, სომხეთში – 15% და ა.შ.

მდგრადი სოციალური სადაზღვევო ფინანსური წყაროს ფორმირების შედეგად **დსთ-ს ქვეყნებშიც კი საშუალო პენსიის ოდენობა 2–5-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში**.

**სახელმწიფო საშუალო პენსია საქართველოში – \$45;
უზბეკეთი, მოლდავეთი – \$78 უკრაინაში – \$120;
აზერბაიჯანში – \$140, ბელორუსიაში – \$165,
რუსეთში – \$280, ლიტვაში – 300, ლატვიაში – \$310.**

საქართველოში სახელმწიფო პენსიის ოდენობა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ნება-სურვილზე, რაც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით სახიფათოა, რადგანაც ადამიანებს **წართმეული აქვთ სახელმწიფო პენსიის ამა თუ იმ ოდენობით მოთხოვნის სამართლებრივი უფლებაც კი და უნდა დაკმაყოფილდნენ ხელისუფლების „ნაწყალობევი პენსიით“**.

საქართველოში 1998 წლიდან მოქმედებს კანონი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“, მაგრამ პოლიტიკური ნების უქონლობის გამო ის ფაქტიურად არ ამოქმედებულა. **კერძო საპენსიო დაზღვევის სისტემაში მოქცეულია დასაქმებულთა 1%-ზე ნაკლები**.

მსოფლიო გამოცდილებით კი დადასტურებულია, რომ სახელმწიფო და არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა არის ღირსეული, უზრუნველყოფილი მოხუცებულობის გარანტი, და რაც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია, ქვეყანაში **სოციალური წონასწორობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი**.

საქართველოში, მათ შორის, რასაკვირველია, დედაქალაქში მოქმედი საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა არ შეესაბამება „ევროპის სოციალურ ქარტიასა“ და იმ სოციალურ კონვენციებს, რომელსაც საქართველო მიერთებულია. აღნიშნულის შედეგად, **საქართველო გაუმართლებლად და უიმედოდ შორდება ევროპის სოციალურ სივრცეს**;

დღეს მოქმედი სისტემა სახელმწიფოებრივი საფრთხის შემცველია, რადგანაც: – **აშკარად ილახება ადამიანის უფლებები და თავისუფლებები სოციალური, უპირველეს ყოვლისა, საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში**.

ჩვენ კუზრუნველყოფთ:

- ▶ ქართული სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო სოციალური, მათ შორის, საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის ისეთი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, რომელიც დაეფუძნება საქართველოს რეალობებსა და ევროკავშირის ქვეყნების უნიფიცირებულ სისტემებს;

- ▶ დაკანონდეს სოციალური, მათ შორის, საპენსიო დაზღვევის ტარიფი, სადაზღვევო სტაჟისა და სადაზღვევო შენატანის ცნებები, სადაზღვევო გასაცემლების ოდენობის განმსაზღვრელი ობიექტური მექანიზმი;
- ▶ საპენსიო გასაცემელი დამოკიდებული იყოს მხოლოდ ადამიანის სადაზღვევო ისტორიაზე და მოხდეს ამ სფეროს დეპოლიტიზება;
- ▶ პერსონიფიცირებული აღრიცხვის სისტემის ამოქმედების შედეგად ადამიანებს წინასწარ, საპენსიო ასაკამდე, ეცოდინებათ საპენსიო უზრუნველყოფის გარანტიები და დონე;
- ▶ სახელმწიფო და კერძო საპენსიო დაზღვევის მექანიზმების გონივრული შეხამებით მყარი საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის შექმნას.

ადამიანებს ეცოდინებათ, რატომ, რამდენს და ვისგან მიიღებენ პენსიას!

სოციალური სისტემის რეფორმამდე:

გაგრძელდება თბილისელ პენსიონერთა სახელმწიფო პენსიაზე დანამატის დაფინანსება; ამასთან, ერთად:

1. ყველა თბილისელი პენსიონერი:

- ▶ ზამთრის პერიოდში მიიღებს 100 ლარიან დანამატს გაზისა და ელექტროენერგიის ხარჯების დასაფარად (დეკემბერში, იანვარში, თებერვალში, მარტში – 25 ლარს თვეში). ხარჯი – 20 მილიონი ლარი.
- ▶ 2011 წლიდან მიიღებს უფასო სამედიცინო დაზღვევას (იხილეთ „ალიანსის“ ჯანდაცვის პროგრამა);
- ▶ 65 წელს ზემოთ ასაკის ყველა თბილისელი პენსიონერი ოჯახის ექიმის მიერ დანიშნულ საბაზისო მედიკამენტებს მიიღებს უფასოდ, საშუალოდ, 100 ლარის ფარგლებში; (იხილეთ „ალიანსის“ ჯანდაცვის პროგრამა);

2. თბილისში მაცხოვრებელი ყველა დევნილი:

- ▶ მიიღებს საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის 50%-იან შეღავათს; ხარჯი – 2 მლნ ლარი.
- ▶ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ რეგისტრირებული ყველა დევნილი (36,200 ადამიანი), დამატებით მიიღებს შემწეობას თვეში – 10 ლარის ოდენობით; ხარჯი – 4,4 მლნ ლარი.
- ▶ მიიღებს უფასო სამედიცინო დაზღვევას; (იხილეთ „ალიანსის“ ჯანდაცვის პროგრამა);
- ▶ მივალწევთ, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში მცხოვრებ დევნილებს კერძო საკუთრებაში დაუკანონდეთ დაკავებული ფართები.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს:

- ▶ ვუზრუნველყოფთ საქალაქო ინფრასტრუქტურაში (გზები, გადასასვლელები, ტროტუარები, ტრანსპორტი, სახლების სადარბაზოები) სტანდარტული პირობების შექმნით გაადვილებულ და უსაფრთხო გადაადგილებას;
- ▶ რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, მიიღებენ თვეში დანამატს 10 ლარს. ხარჯი – 3 მლნ ლარი
- ▶ მიეცემათ უფასო სამედიცინო დაზღვევის პოლისი; (იხილეთ „ალიანსის“ ჯანდაცვის პროგრამა);

4. ომის ვეტერანები, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები, სამხედრო ძალების ვეტერანები, მარჩენალდაკარგულები, ომის მონაწილეებთან გათანაბრებული ზამთრის პერიოდში მიიღებენ 100 ლარიან ვაუჩერს გაზისა და ელექტროენერგიის ხარჯების დასაფარად. (დეკემბერში, იანვარში, თებერვალში, მარტში – 25 ლარს თვეში). ხარჯი – 2 მლნ ლარი.

5. სამ და მეტ შვილიანი ოჯახებისათვის:

- ▶ გაიზრდება ერთჯერადი მატერიალური დახმარება მესამე და მეტი შვილის დაბადებისათვის (მე-3 შვილზე - 800 ლარი; მე-4 შვილზე 1,000 ლარი; მე-5 შვილზე 1,500 ლარი და ყოველ შემდგომ შვილზე 500 ლარით მეტი); .ხარჯი – 2 მლნ ლარი
- ▶ ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ოჯახს ყოველთვიურად დაენიშნება 50 ლარიანი დახმარება; ხარჯი – 1 მლნ ლარი.

IV. თბილისის მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამა 2010 –2014 წწ „სამედიცინო მომსახურება ყველა თბილისელს“

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში განხორციელებული გაუზრდელი რეფორმების შედეგად, როგორც თბილისის, ისე საქართველოს მთელი მოსახლეობის უმრავლესობა ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების გარეშე დარჩა.

დღეს თბილისის მოსახლეობის 80% ხელმისაწვდომი

სამედიცინო მომსახურების გარეშე დარჩა.

გაუმართლებლად მაღალია ფასები მედიკამენტებზე. ადგილი აქვს ცალკეული ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან წამლებზე მონოპოლიური ფასების დანესებას. მოსახლეობის უმრავლესობა ოჯახის ბიუჯეტის დიდ ნაწილს წამლებსა და ექიმებთან კონსულტაციებზე ხარჯავს. ბევრს კი საერთოდ არ გააჩნია მკურნალობისათვის საჭირო სახსრები.

არსებული პრობლემები:

ორგანიზაციული:

- ▶ სახელმწიფოს არ გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ჯანდაცვის პოლიტიკა და კონცეფცია;
- ▶ არ არის დასახული მიზნები, სამოქმედო სტრატეგია და ვადები;
- ▶ ჯანდაცვის სისტემის ფრანგმენტული ღონისძიებები ეფუძნება და ოპერირებს ისეთი საინფორმაციო სისტემით, რომელიც არასაიმედო და არასტანდარტიზებულია;
- ▶ სახელმწიფო და კერძოდ მერია, არ/ვერ ახერხებს მის მიერ სრულად და ნაწილობრივ სუბსიდირებული პროგრამების სრულფასოვან ადმინისტრირებას, მონიტორინგსა და შეფასებას;
- ▶ დარგის მართვა ხორციელდება არაკვალიფიციურად, იგრძნობა მართვისა და ადმინისტრირების ცოდნის დეფიციტი ყველა დონეზე;
- ▶ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ბაზისურ სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობას.

დაფინანსების:

- ▶ მოსახლეობის 80% დარჩენილია ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების პროგრამების გარეშე;
- ▶ მაღალია „ჯიბიდან გადასახადები“ მომსახურების მიღების ადგილზე;

- ▶ გაუმართლებლად მაღალი და არაადეკვატურია სამედიცინო მომსახურების ფასები;
- ▶ სახელმწიფო და კერძოდ, მერია არ/ვერ აკონტროლებს ჯანდაცვის დაფინანსებაზე განეულ ხარჯებს;
- ▶ უგულვებელყოფილია ფასთნარმოქმნის მექანიზმები და პრინციპები სამედიცინო ბაზრის რეგულირების ყველა დონეზე.

2005 – 2009 წლებში ქ. თბილისის ბიუჯეტი უსამართლოდ ნაწილდება:
თბილისალთა ჯანდაცვაზე 2009 წალს დაიხარჯა ბიუჯეტის 4%-ზე ნაკლები (23 მილიონი ლარი), რაც ერთ თბილისალზე შეადგანს წაღიწადი – 18 ლარს; თვეში – 1,5 ლარს.
გაშინ, როღასაც: მერიის ბიუროკრატიული აპარატის შენახვაზე დაიხარჯა – 7% (43 მილიონი ლარი).

სამედიცინო მომსახურების მიწოდების:

- ▶ არ არსებობს ჯანდაცვის სერვისების ხარისხისა და სტანდარტიზაციის ერთიანი ეროვნული პოლიტიკა;
- ▶ არ არსებობს სახელმწიფო დონეზე შემუშავებული სამედიცინო მომსახურების მიწოდებელთა შეფასების კრიტერიუმები და მექანიზმები;
- ▶ არ არის ჩამოყალიბებული სამედიცინო სერვისის მიწოდებლებისათვის ფინანსური თუ არაფინანსური სტიმულირების მექანიზმები;
- ▶ სისტემა არ არის დაყოფილი რეგიონალური და ფუნქციური პრინციპით და დონეებად. შესაბამისად, არ არის განსაზღვრული თითოეული მათგანის უფლება – მოვალეობა და ანგარიშვალდებულება;
- ▶ სადაზღვევო კომპანიებისათვის არ არსებობს საზოგადოებისა და მერიის მიმართ ანგარიშვალდებულების სისტემა;
- ▶ არ გამოიყენება ქვეყნის რეგულაციის ისეთი ფორმები, როგორებიცაა: თანამედროვე სტანდარტები/გაიდლაინები და პროტოკოლები, უწყვეტი სამედიცინო განათლება და განვითარება;
- ▶ არამიზნობრივი ხარჯვისა და კორუფციული გარიგებებისათვის შექმნილია ხელსაყრელი გარემო.

შედეგი: სახელმწიფომ, კერძოდ მერიამ, როგორც სამედიცინო მომსახურების მსხვილმა შემსყიდველმა, არ იცის როგორი ხარისხის მომსახურებას ყიდულობს და რას იხდის ამ მომსახურებაში.

V. მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემის ფორმირების კონცეფცია

მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემის ფორმირების კონცეფცია ეფუძნება:

- ▶ სოციალური სამართლიანობის და სამოქალაქო სოლიდარობის პრინციპს;
- ▶ სხვადასხვა ასაკობრივი და სოციალური ჯგუფებისათვის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობას;
- ▶ სადაზღვევო მედიცინის ეფექტიანი და მოქნილი, შედეგზე ორიენტირებული ინსტრუმენტების დანერგვასა და მისი განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნას;
- ▶ ბაზარზე ჯანსაღი, რეგულირებად კონკურენტულ გარემოსა და გამჭვირვალე მონიტორინგს დაქვემდებარებული სისტემის დამკვიდრებას, რომელიც მუნიციპალური სამედიცინო პროგრამის მეშვეობით, უზრუნველყოფს თბილისის მოსახლეობას ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;

მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამის ძირითადი მიზნებია

- ▶ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება დაავადების პროფილაქტიკისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის გზით;
- ▶ სამედიცინო მომსახურებაზე გეოგრაფიული, ფინანსური და ინფორმაციული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- ▶ სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- ▶ მოსახლეობის დაცვა ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან;

სტრატეგიული ამოცანები:

- 1. მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემის სრულყოფა;**
- 2. მოსახლეობის საჭიროებებზე დაფუძნებული მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი მართვა;**
- 3. მუნიციპალური ჯანდაცვის დაფინანსების გაზრდა**

ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯები შეადგენს მშპ-ის 1.5 %-ს და მთლიანი სახელმწიფო ხარჯების 5%-ს, რაც განაპირობებს ჯანდაცვაზე მოსახლეობის "ჯიბიდან" დანახარჯების ძალიან მაღალ დონეს - 73 %-ს. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ევროპაში და აღემატება დსთ-ს საშუალო მაჩვენებელს - 46%-ს.

საქართველოს მიერ ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების ოდენობა 2-2,5 ჯერ ჩამორჩება ბალტიისპირეთის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს (ლიტვა - 14,7%; ესტონეთი - 11,2 %; ლატვია - 9,4%). აღნიშნული გვიჩვენებს, რომ ჯანმრთელობის დაცვა ჯერ კიდევ არ არის ქვეყნისთვის პრიორიტეტული დარგი.

ჩვენი მიზანია ჯანდაცვა გახდეს სახელმწიფოს უპირატესი პრიორიტეტი. ჩვენ განვახორციელებთ ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციას, რომლის მიხედვით, სახელმწიფო დანახარჯების წილი ჯანდაცვაზე, მოსახლეობისათვის მინიმალურად აუცილებელი სამედიცინო მომსახურების თანაბრად ხელმისაწვდომობისათვის, მთლიან სახელმწიფო დანახარჯებში უნდა შეადგენდეს 15%-ს.

ჩვენ, თბილისის ბიუჯეტიდან, თბილისელთა სამედიცინო მომსახურებისათვის გამოვყოფთ 117 მილიონ ლარს, არსებული 33 მილიონი ლარის ნაცვლად.

მუნიციპალური ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების შედეგად ვუზრუნველყოფთ:

- ▶ უნივერსალური მინიმალური ბაზისური პაკეტის შეუშავებას;
- ▶ სადაზღვევო სისტემით მოსახლეობის სრულ მოცვას;
- ▶ სამედიცინო ბაზარზე რეგულირებადი კონკურენტული გარემოს ხელშეწყობას (მართვად კონკურენციას);
- ▶ სარწმუნო და სტანდარტული საინფორმაციო სისტემით ოპერირებას;
- ▶ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს:
 - კლინიკური გაიდლაინებისა და პროტოკოლების დანერგვას;
 - ადმინისტრაციული და ოპერირების სტანდარტების დანერგვას;
 - ფინანსური და კლინიკური გადაწყვეტილებების გამიჯვნას;
- ▶ პაციენტთა და სამედიცინო პერსონალის უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

თბილისის მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამა დაეფუძნება 4 ძირითად პროგრამულ კომპონენტს:

1. ოჯახის ექიმი - ყველა თბილისელს;
2. სამედიცინო დაზღვევა - ყველა ოჯახს
3. უფასო და იაფი წამალი ყველა თბილისელს:
 - ▶ უფასო წამალი ბავშვებს და ხანდაზმულებს
 - ▶ წამალი შეღავათიან ფასად ყველა თბილისელს
4. უფასო მშობიარობა და ორსულობის პატრონაჟი.

1. ოჯახის ექიმი ყველა თბილისელს

დღეს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, თბილისის მოსახლეობის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურება

ფასიანია, რაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას წარმოადგენს.

პროგრამის აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს ოჯახის ექიმის უფასო საბაზო მომსახურებას თითოეული თბილისელისათვის, მიუხედავად მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა.

ბაზისური ამბულატორიული მომსახურება განხორციელდება ოჯახის ექიმი/ექთნის მეშვეობით საოჯახო მედიცინის ცენტრებსა და ამბულატორიულ კლინიკებში.

ბაზისური ამბულატორიული მომსახურება ითვალისწინებს:

1. სამედიცინო კონსულტაციას, როგორც ამბულატორიულად, ასევე საჭიროების შემთხვევაში, პაციენტის ბინაზე სა-
მკურნალო თუ პრევენციული მიზნით;
2. ბაზისურ ფუნქციურ-დიაგნოსტიკურ და ლაბორატორიულ გამოკვლევებს, რისთვისაც არ არის საჭირო რთული დიაგ-
ნოსტიკურ-ლაბორატორიული შესაძლებლობები;
3. მცირე ინვაზიურ პროცედურებს;
4. გადაუდებელ ამბულატორულ დახმარებას;
5. საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისკენ მიმართულ ღონისძიებებს;
6. პროფილაქტიკურ აცრებს;
7. უფასო და იაფი წამლის პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების დანიშვნას;
8. ამბულატორიულ დონეზე სხვადასხვა სახის სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემას;

ამბულატორიული მომსახურების მიწოდების ორგანიზაციული ფორმებია:

- ა) საოჯახო მედიცინის ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია რამდენიმე ოჯახის ექიმით და ექთნით;
- ბ) ამბულატორიული კლინიკა, სადაც ერთდროულად ფუნქციონირებს რამდენიმე სხვადასხვა პროფილის სპეციალისტი.
(ძირითადად, დღეს არსებული პოლიკლინიკების ბაზაზე).

დანესებულებების მდებარეობა განისაზღვრება სამედიცინო მომსახურებაზე ოპტიმალური გეოგრაფიული ხელმისაწვდო-
მობის დაცვის პრინციპით.

მომსახურების მიმწოდებელი გუნდი (ოჯახის ექიმი და ერთი ან ორი ექთანი) მოემსახურება დაახლოებით 2500 პა-
ციენტს.

ოჯახის ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების შეძენა შესაძლებელი იქნება მის მიერ გაცემული რეცეპტის საფუძველ-
ზე. ოჯახის ექიმი სამედიცინო პრაქტიკას წარმართავს თანამედროვე მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდოლოგიე-
ბისა და სტანდარტების მეშვეობით.

ოჯახის ექიმისა და ექთნების მუშაობა შეფასდება სპეციალური კრიტერიუმებით და იმ მოთხოვნებით, რომლებსაც მათ
წინასწარ წაუყენებს მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სამსახური.

მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად ინარმოებს მედპერსონალის უწყვეტი სამედიცინო
განათლება და პროფესიული განვითარება. პროგრამის ეს კომპონენტი განხორციელდება თბილისის ბიუჯეტიდან პირ-
დაპირი დაფინანსების გზით, რაც ფინანსური თვალსაზრისით უფრო მეტად ეფექტიანი და ეკონომიკურია. შეიქმნება
პირველადი ჯანდაცვის ერთიანი ინფორმაციის მართვისა და ადმინისტრირების ქსელი.

**პროგრამის ამ კომპონენტის საპროგნოზო ბიუჯეტი და მასში ჩართული მოსახლეობის რიცხოვნება მოცემულია ცხრილ-
ში:**

500 ოჯახის ექიმსა და ექთანზე გათვლით კომპონენტის საპროგნოზო ბიუჯეტი

დასახელება	თანხა (ერთეული)	500 ერთეულზე თანხა (თვეში)	ჯამური თანხა წელიწადში
ოჯახის ექიმის ოფისის ბიუჯეტი (საოფისე ხარჯების გათვალისწინებით)	3500	1,750,000	21,000,000
დიაგნოსტიკური და ლაბორატ. გამოკვლევები	2000	1,000,000	12,000,000
სულ	5500	2,750,000	33,000,000

2. სამედიცინო დაზღვევა ყველა ოჯახს

არსებული მდგომარეობა – 2010 წლისთვის სახელმწიფოს არ აქვს აღებული პასუხისმგებლობა თბილისის მოსახლეობის 80%-ის ჯანდაცვაზე.

სახელმწიფო აფინანსებს თბილისის დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მხოლოდ 10%-ს და მოხელეთა ცალკეული კატეგორიების (პედაგოგები, სამხედრო პირები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები და სხვა) სამედიცინო დაზღვევის ხარჯებს.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში განხორციელებული გაუაზრებელი ცვლილებების შედეგად თბილისის, ისევე როგორც საქართველოს მთელი მოსახლეობა, კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების გარეშე დარჩა. გამონაკლისს წარმოადგენს მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც მოცულია სახელმწიფო პროგრამით. სოციალური გარანტიების გარეშე დარჩენილი მოსახლეობიდან განსაკუთრებულ მზრუნველობას საჭიროებს 6 წლამდე და 65 წლის ზემოთ ასაკობრივი კატეგორია.

მუნიციპალური ჯანდაცვის რეფორმის პირველი ეტაპის სტრატეგიული ამოცანაა თბილისის მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების უნივერსალური მინიმალური ბაზისური პაკეტით. ეს პაკეტი უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, ფინანსური რისკებისაგან დაცვას, დაავადებათა პრევენციასა და გადაუდებელი მკურნალობის ბაზისურ მოცვას.

ჩვენი პროგრამის ძირითადი მიზანია თბილისელთა სრულყოფილი სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. მთელი მოსახლეობის მოცვა ხელს შეუწყობს ერთი და იგივე პულში ახალგაზრდა და ასაკოვანი, ან ჯანმრთელი და ავადმყოფი დაზღვეულების არსებობას, რაც თავის მხრივ, გაზრდის სადაზღვევო რისკის გადანაწილებას ჯანმრთელიდან - ავადმყოფზე, ახალგაზრდიდან - ასაკოვანზე, მდიდარიდან - ღარიბზე.

პროგრამის კომპონენტი „სამედიცინო დაზღვევა - ყველა ოჯახს“ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

1. 6 წლამდე და 65 წელს ზემოთ თბილისელების უფასო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით სრულად უზრუნველყოფა. თბილისელების ეს კატეგორია უფასოდ ჩაერთვება მუნიციპალური სამედიცინო დაზღვევის პროგრამაში. სამედიცინო დაზღვევის პოლისის ღირებულებას სრულად აანაზღაურებს მუნიციპალური ბიუჯეტი.
2. ყველა თბილისელის უზრუნველყოფას სამედიცინო დაზღვევით, რომელიც მთლიანად დაფარავს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარჯებს (უბედური შემთხვევის შედეგად საჭირო სამედიცინო მომსახურება, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება). ამ პაკეტის ღირებულებას სრულად აანაზღაურებს მუნიციპალური ბიუჯეტი.
3. ყველა თბილისელს, სურვილის შემთხვევაში, ექნება საშუალება თვეში 6–8 ლარის დამატებით შეიძინოს სრული სამედიცინო დაზღვევის პაკეტი, რომელიც ზემოთაღნიშნულ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებასთან ერთად, უზრუნველყოფს გეგმიურ ჰოსპიტალურ მომსახურებასაც (ქიმიოთერაპიისა და სხივური თერაპიის ხარჯების ჩათვლით).

პროგრამის განხორციელება:

პროგრამა – „სამედიცინო დაზღვევა - ყველა ოჯახს“ – განხორციელდება, როგორც მუნიციპალური პროგრამა, რისთვისაც თბილისის მუნიციპალიტეტი გამოაცხადებს ტენდერს აღნიშნულ პროგრამაში მონაწილე სადაზღვევო კომპანიების გამოსავლენად.

პროგრამის რაოდენობრივი და ღირებულებითი მახასიათებლები:

- ▶ თბილისის 6 წლამდე მოსახლეობა – 65 000 კაცი;

- ▶ თბილისის 65 წელს ზევით ასაკის მოსახლეობა – 150 000 კაცი;
- ▶ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პაკეტით დასაზღვევი მოსახლეობა - 600 000 ადამიანი.¹

ასაკობრივი ჯგუფი	რაოდენობა (ათასი კაცი)	სადაზღვევო პრემია(ლარი)	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
6 წლამდე	65	120	7,800
65 წელს ზემოთ	150	120	18,000
გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების დაზღვევა	600	40	24, 000
სულ			49,800

3. უფასო და იაფი წამალი ყველა თბილისელს

- ▶ უფასო მედიკამენტი 3 წლამდე და 65 წელს ზემოთ ასაკის ყველა თბილისელს
- ▶ წამალი შეღავათიან ფასად ყველა თბილისელს

საქართველოს, და განსაკუთრებით, თბილისის ფარმაცევტული საცალო (სააფთიაქო ქსელი) ბაზარი არ ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან არც ნომინალურ ანტიმონოპოლიურ და არც ანტიტრასტულ რეგულირებას და პრაქტიკულად ოლიგოპოლიურ მდგომარეობაშია. შექმნილ ვითარებაში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წამლის შეძენა არ შეუძლია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ფატალური შემთხვევების რისკს.

პროგრამის აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს 3 წლამდე და 65 წელს ზემოთ ასაკის ყველა თბილისელის ოჯახის ექიმის მიერ დანიშნული საბაზისო მედიკამენტებით უფასოდ უზრუნველყოფას, საშუალოდ 100 ლარის ფარგლებში.

ასევე, ყველა თბილისელს ყველა მიეცემა შესაძლებლობა იაფად შეიძინოს ოჯახის ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები.

თბილისელებისათვის ოჯახის ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტების მიწოდება განხორციელდება სპეციალურად ამ მიზნებისთვის შექმნილი თბილისის მუნიციპალური ფარმაცევტული სანარმოს (მუნიციპალური სააფთიაქო ქსელის) საშუალებით.

მედიკამენტების სარეალიზაციო ფასები განისაზღვრება საერთაშორისო ტენდერებით შეძენილი მედიკამენტების თვითღირებულებაზე რეალიზაციის ხარჯების დანამატით.

ზემოაღნიშნული მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის გაუმჯობესების გარდა, ფარმაცევტულ ბაზარზე შექმნის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოს და ხელს შეუწყობს კერძო ფარმაცევტულ საცალო ქსელში სამედიცინო მედიკამენტებზე ფასების ოპტიმიზაციის პროცესს.

პროგრამის ამ კომპონენტის საპროგნოზო ბიუჯეტი და მასში ჩართული მოსახლეობის რიცხოვნება:

ასაკობრივი ჯგუფი	რაოდენობა (ათასი კაცი)	წამლის წლიური ხარჯი საშუალოდ (ლარი)	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
3 წლამდე	50	50	2,500
65 წელს ზემოთ	150	100	15,000
სულ			17,500

4. უფასო მშობიარობა და ორსულების პატრონაჟი

2007 წლამდე ორსულობისა და მშობიარობის ხარჯებს აფინანსებდა სახელმწიფო 800 ლარიანი ვაუჩერის მეშვეობით, რომელიც ხელისუფლებამ უსაფუძვლოდ გააუქმა, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა შობადობის ზრდის სტიმულირებას და მნიშვნელოვნად დააზარალა ახალგაზრდა ოჯახების ისედაც მწირი ბიუჯეტი.

უკანასკნელ პერიოდში გახშირდა ორსულობისა და მშობიარობის სტანდარტული, სამედიცინო პროცედურების გარეშე ჩატარების შემთხვევები, რასაც ფატალური შედეგებიც კი მოჰყვა.

¹ რაოდენობა 600 000 კაცი აღებულია იქიდან გამომდინარე, რომ დედაქალაქის მოსახლეობის ცალკეული კატეგორიები (უმწიფონი, განათლების, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების მიერ დაზღვეული კონტინგენტი) უკვე დაზღვეულნი არიან სახელმწიფო პროგრამით, გარდა ამისა უფასო დაზღვევის კომპონენტით სრულად იქნება დაზღვეული 6 წლამდე და 65 წელს ზევით მოსახლეობა (დაახლოებით 200 000 კაცი).

აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროგრამის აღნიშნული კომპონენტი ითვალისწინებს თითოეული თბილისელი ორსულისათვის, მიუხედავად მისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა, ორსულობისა და მშობიარობის ხარჯების დაფინანსებას 800 ლარის ლიმიტის ფარგლებში, რაც მოიცავს შემდეგს:

ორსულობის პატრონაჟი – ორსულობის განმავლობაში ხარჯების დაფინანსება (მონოტორინგი, რისკების განსაზღვრა, პროფილაქტიკა, მკურნალობა) – 200 ლარიანი ვაუჩერით.

მშობიარობის ხარჯების დაფარვა (მათ შორის, გართულებული) ყველა ფეხმძიმისთვის 600 ლარიანი ვაუჩერით.

პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი:

დასახელება	რაოდენობა (ათასი)	ლიმიტი (ლარი)	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
ორსულობის ხარჯები	20	200	4,000
მშობიარობის ხარჯები	20	600	12,000
სულ			16,000

პროგრამის განხორციელების შედეგად:

თბილისის მოსახლეობა სრულად იქნება უზრუნველყოფილი სამედიცინო მომსახურების უნივერსალური მინიმალური ბაზისური პაკეტით და სამედიცინო დაზღვევის გარანტიებით, რაც მოიცავს:

- ▶ ყველა თბილისელის უზრუნველყოფას ოჯახის ექიმის მომსახურებით;
- ▶ ყველა ოჯახის უზრუნველყოფას სამედიცინო დაზღვევით;
- ▶ ყველა თბილისელის უზრუნველყოფას უფასო და იაფი წამლით:
 - უფასო წამალი ბავშვებს და ხანდაზმულებს
 - წამალი შეღავათიან ფასად ყველა თბილისელს
- ▶ უფასო მშობიარობას და ორსულობის პატრონაჟს თითოეულ ორსულზე 800 ლარიანი ვაუჩერის გაცემით.

VI. განათლება

1. სკოლამდელი აღზრდის რეფორმის განხორციელება

- ▶ ბალების სერტიფიცირება და სტანდარტების დანერგვა
- ▶ დაფინანსების გაუმჯობესება
- ▶ ახალი ბალების გახსნა იმ უბნებში, სადაც მოსახლეობის მოთხოვნა დიდია და ბალები არ ფუნქციონირებენ

სკოლამდელი განათლების სისტემას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, ის მშობელს უქმნის დასაქმებისა და პიროვნული განვითარების შესაძლებლობას, ეხმარება ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2009 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად საქართველოს ბავშვთა 12 პროცენტი უმძიმეს სიღარიბეში ცხოვრობს, ბავშვთა 28 პროცენტი სიღარიბის საერთო ზღვარს მიღმა დარჩენილი. უფრო ფართო პერსპექტივაში, ბავშვთა 64 პროცენტი ღარიბია.

ღარიბ ბავშვს უფრო ნაკლები შანსი აქვს იაროს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, უთანაბრობები განათლების მიღების თვალსაზრისით ზეგავლენას ახდენს ბავშვთა კეთილდღეობაზე და განვითარებაზე. ამცირებს მათ შანსებს მომავალ ცხოვრებაში და აძლიერებს თაობიდან თაობაზე გარდამავალი სიღარიბის რისკს.

თბილისის მერია შექმნის პირობებს იმისათვის, რომ ყველა მშობელს, ვისაც ამის სურვილი აქვს, მიეცეს შესაძლებლობა ატაროს შვილი საბავშვო ბაღში. თანდათანობით გაფართოვდება სკოლამდელი დაწესებულებების ქსელი. ამასთან გადაუდებელი ამოცანა იქნება ხარისხიანი სკოლამდელი განათლების სისტემის ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს ამჟამინდელი მწირი აღჭურვის გაუმჯობესებას, ამ დაწესებულებებში ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დადგენას.

6. პირველი ოთხი კლასის ბავშვებისა და სასკოლო ბიბლიოთეკების სასწავლო წიგნებით უზრუნველყოფა.

თბილისი სკოლების პირველი ოთხი კლასის ბავშვებს უფასოდ მიეცემათ სასკოლო სახელმძღვანელოები. ასევე მერია ყოველი სკოლის ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადასცემს ყველა კლასის სავალდებულო საგნების 30-30 სახელმძღვანელოს.

ამ სახელმძღვანელოებს უნდა ჰქონდეთ 5-წლიანი გრიფი და მათ სკოლები შეარჩევენ. ამ გზით ხელმოკლე ოჯახების შვილებისათვის სახელმძღვანელოები ხელმისაწვდომი გახდება.

7. მუნიციპალური ახალგაზრდული კულტურულ-საგანმანათლებლოცენტრების ჩამოყალიბება ქ. თბილისის რაიონებში

მერია დააარსებს და დააფინანსებს შემოქმედებით-საგანმანათლებლო ცენტრებს ქალაქის გარეუბნებში. ამ ცენტრებში შეიქმნება წრეები მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების მიხედვით. ამ წრეებში მოსწავლეები გაიღრმავებენ ცოდნას ფუნდამენტურ მეცნიერებებში, ისტორიასა და გეოგრაფიაში, ლიტერატურასა და უცხო ენებში. ასევე ეზიარებიან მუსიკას, ცეკვას, სახვით ხელოვნებასა და სხვა.

8. სკოლის მასწავლებლები ზამთრის პერიოდში მიიღებენ 100 ლარიან დანამატს გაზისა და ელექტროენერგიის ხარჯების დასაფარად.

ხარჯი – 1,5 მილიონი ლარი

9. ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა შვილებს, რომლებიც ეროვნული გამოცდებით ჩაირიცხებიან თბილისის აკრედიტირებულ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში, აუნაზღაურდებათ სწავლების საფასურის 50%-ი.

10. წარჩინებული სტუდენტებისათვის დანესდება მერიის წამახალისებელი პრემიების სისტემა.

4.4. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“²

როგორ უნდა მოხდეს უფლებამოსილების გამიჯვნა ცენტრსა და რეგიონებს შორის დონეების მიხედვით? (ცენტრალური ხელისუფლება, სამხარეო მმართველობა, რაიონების დონე და ა.შ.; საკრებულოების, მერიების, გუბერნატორების დონეების ადგილი და როლი ამ პროცესში)

უფლებამოსილების გამიჯვნის და საერთოდ, უფლებამოსილების განსაზღვრის საკითხი არის ერთ-ერთი უმთავრესი სახელმწიფოს ფორმირებისა და აღმშენებლობისათვის. უფლებამოსილების განსაზღვრისა და გამიჯვნის პრინციპები მოცემულია საქართველოს კონსტიტუციით, თუმცა ამ პრინციპების რეალური ამოქმედება მხოლოდ 2004–2005 წ.წ. დაიწყო. მანამდე გატარებული ღონისძიებები როგორც იყო სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტის შემოღება და 1998 წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების ჩატარება, უფლებამოსილების მხოლოდ ფორმალურ გადანაწილებას გულისხმობდა. უფლებამოსილების გამიჯვნა მოიცავს როგორც დეკონცენტრაციას (უფლებამოსილებათა გადანაწილება სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის), ისე დეცენტრალიზაციას (უფლებამოსილების გადაცემა ადგილობრივი თვითმმართველობისათვის).

სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტი თავდაპირველად წარმოადგენდა მხოლოდ ზედამხედველობის ორგანოს, რომელსაც არ გააჩნდა სახვა რაიმე რეგულარული ფუნქცია, შესაბამისად უფლებამოსილების დეკონცენტრირება, ანუ უფლებამოსილებათა გადანაწილება ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (პირობითად რეგიონებში) მის წარმომადგენელს – სახელმწიფო რწმუნებულს შორის არ მომხდარა. მხოლოდ 2007 წელს დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმა დეკონცენტრაციის მიმართულებით: მოხდა სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტის ტრანსფორმაცია სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ინსტიტუტად. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით ამ ინსტიტუტმა მიიღო სრული ლეგიტიმაცია (მანამდე ყოველთვის იყო სადაო თუ რამდენად კანონიერი იყო რწმუნებულის ინსტიტუტი). სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი გახდა არა მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის, არამედ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი და შესაბამისად იგი აღიჭურვა გარკვეული აღმასრულებელი უფლებამოსილებებით. უპირველესად ეს იყო უფლებამოსილება სახელმწიფოს სახელით განეხორციელებინა სახელმწიფო ზედამხედველობა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის

2 პროექტის მოთხოვნისამებრ საკუთარი ხედვები „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ შევსებული კითხვარის სახით წარმოადგინა.

საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ეს იყო პირველი რეგულარული ფუნქცია, რომლითაც აღიჭურვა სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი. ამ ფუნქციას გააჩნდა მეტად პრინციპული მნიშვნელობა როგორც სახელმწიფო, ისე თვითმმართველობის ინტერესების დასაცავად. 1998–2004 წ.წ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები დატოვებული იყო ყოველგვარი კონტროლის გარეშე. იყო შემთხვევები, როცა თვითმმართველობის მიერ მიღებული იყო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები (მაგ. ცნობილია ფაქტები, როცა საკრებულოებმა შეიძინეს ისეთი სახის მოსაკრებელი, რომელსაც არ ითვალისწინებდა მოქმედი კანონმდებლობა), რომლებზეც რეაგირება ან არ, ან ძალზე დაგვიანებით ხდებოდა. „ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ და სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ინსტიტუტის შემოღებამ პრაქტიკულად გამორიცხა ასეთი შემთხვევები. მეორე მხრივ ამ ინსტიტუტის შემოღებამდე სახელმწიფო მმართველობის ნებისმიერი რგოლი არ იყო შეზღუდული ჩარეულიყო თვითმმართველობის საქმიანობაში. ზემო აღნიშნული კანონის მიხედვით განისაზღვრა, რომ მხოლოდ სახელმწიფო რწმუნებულია უფლებამოსილი ზედამხედველობა განხორციელოს თვითმმართველობის საქმიანობაზე და ამავე კანონით გაიწერა ის პროცედურები, ზედამხედველობის ფორმები და წესი, რომლის მიზანია ზედამხედველობის კანონის ჩარჩოებში მოქცევა და თვითმმართველობის დაცვა მის საქმიანობაში თვითნებური ჩარევისაგან.

გარდა თვითმმართველობის საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა, სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის უფლებამოსილებად განისაზღვრა მთავრობის დავალებით რეგიონული პროგრამების განხორციელება და სამთავრობო დაწესებულებათა ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი უფლებამოსილება, რომელიც გულისხმობს უფლებამოსილებათა შემდგომ დეკონცენტრაციას. მართალია, ეს უფლებამოსილება დღეისათვის სრულყოფილად არ არის წარმოჩენილი, რადგან ამ უფლებამოსილების განხორციელება უშუალოდ უკავშირდება რეგიონული განვითარების სტრატეგიის დამტკიცებას, რომლის საფუძველზედაც უნდა შემუშავდეს თითოეული რეგიონის განვითარების პროგრამები. უახლოეს პერიოდში გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის მიერ რეგიონული განვითარების სტრატეგიის დამტკიცება, რომლის შემდეგაც უნდა დაიწყოს უფლებამოსილებათა დეკონცენტრაციის ახალი ეტაპი და სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი უნდა აღიჭურვოს ცენტრიდან გადაცემული ახალი უფლებამოსილებებით რეგიონის განვითარების პროგრამების შედგენისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად. ეს იქნება დეკონცენტრირების ახალი საფეხური, რომელიც მიზნად ისახავს ცენტრალური ხელისუფლებიდან გარკვეული უფლებამოსილებების სახელმწიფო მმართველობის ქვედა დონეზე გადატანას. დეკონცენტრაცია წარმოადგენს პროცესს, რომელიც გულისხმობს უფლებამოსილებათა განხორციელების ოპტიმალურ დონეების შერჩევას და მათ შორის უფლებამოსილებათა თანადათანობის გადანაწილებას. 2007 წლიდან დეკონცენტრაციის პროცესმა მიიღო რეალური სახე, რომელიც თანმიმდევრულად ხორციელდება. მაგალითად, გასულ 2009 წელს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის კიდევ ერთ რეგულარულ უფლებამოსილებად განისაზღვრა ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვა და რეგიონის ტერიტორიაზე სამაშველო სამუშაოების კოორდინაცია. როგორც ვხედავთ, დეკონცენტრაციის პროცესს აქვს შეუქცევადი ხასიათი და რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შემდეგ, უფლებამოსილების დეკონცენტრაცია კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება.

რაც შეეხება უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაციას, რომელიც ნიშნავს სახელმწიფო მმართველობის ხელში არსებული უფლებამოსილების გადაცემას ადგილობრივი თვითმმართველობისათვის, ამ პროცესის დაწყების რეალურ თარიღად შეგვიძლია მივიჩნიოთ 2005 წელი. მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები შეიქმნა 1998 წლიდან, მაგრამ უფლებამოსილებათა გადანაწილება მისი განხორციელების შესაბამის მექანიზმების გადაცემის გარეშე ვერ ჩაითვლება უფლებამოსილების რეალურ დეცენტრალიზაციად. თვითმმართველობის უფლებამოსილების განხორციელების საფინანსო-ეკონომიკური ბაზის საკანონმდებლო ფორმირება კი მხოლოდ 2005 წლიდან დაიწყო. სწორედ ამ წელს იქნა მიღებული კანონები „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“. ამ კანონებმა შექმნეს საფუძველი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო და ქონებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაციის პროცესის დასაწყებად. ამ პროცესს სათავე დაუდო 2005 წელს მიღებულმა ახალმა ორგანულმა კანონმა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“. ორგანული კანონით გაუქმდა რაიონულ დონეზე სახელმწიფო მმართველობა (ადგილობრივი მმართველობის ორგანოები) და ეს დონე გამოცხადდა თვითმმართველ ერთეულად. გატარებული რეფორმით გამოირიცხა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის უფლებამოსილებათა დუბლირება. უფლებამოსილებათა გამიჯვნამ მიიღო რეალური სახე. ცხადია, უფლებამოსილებათა დეცენტრალიზაციის ოპტიმალური დონე ერთჯერადი აქტით შეუძლებელია იქნეს მიღწეული. დეცენტრალიზაცია, ისევე როგორც დეკონცენტრაცია წარმოადგენს პროცესს, რომელიც უნდა პასუხობდეს ახალ და ახალ გამოწვევებს, რაც განაპირობებს ამ პროცესის შემდგომ განვითარებას. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ის თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებთან დაკავშირებული ის ცვლილებები, რომელიც შეტანილი იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანულ კანონში 2009 წლის დეკემბერში და რომელიც ამოქმედდება თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ. ამ ცვლილებით თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას დაემატა დასაქმების მუნიციპალურ პროგრამათა მომზადება და მიღება. ეს უფლებამოსილება არ გააჩნდათ 2006 წელს არჩეულ თვითმმართველობის ორგანოებს. დასაქმების პრო-

ბლემის გადანეწევის მნიშვნელობიდან გამომდინარე სახელმწიფოს საჭიროდ ჩათვალა ამ საკითხში თვითმმართველობების ჩართვა. ეს არის თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გაზრდის ბუნებრივი გზა. თვითმმართველობათა შემდგომი განვითარება გულისხმობს თვითმმართველობისათვის მათი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო მექანიზმების სრულყოფას და მათ უფლებამოსილებათა შემდგომ თანდათანობით გაზრდას.

როგორ გესახებათ თბილისის ეკონომიკური მოდელი (უფლებამოსილებათა ჩარჩოს გამოკვეთა, საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობა, და მოდელი, გადასახადების გაყოფა ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებს შორის, დედაქალაქის ბიუჯეტით დასაფინანსებელი პროექტების მკაცრად ჩამოყალიბება, თბილისის გრძელვადიანი ეკონომიკური გეგმის არარსებობა) როგორი უნდა იყოს თბილისის (ზოგადად ადგილობრივი) ბიუჯეტი? პრიორიტეტები და საფრთხეები

საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის შესაბამისად საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი. კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამოჯვანის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.“ ამრიგად, ტერიტორიული სახელმწიფო მოწყობის თვალსაზრისით დედაქალაქის სტატუსი კონსტიტუციით მხოლოდ ნაწილობრივ წესრიგდება, რაც ქვეყნის ტერიტორიული სახელმწიფო მოწყობის გადაუწყვეტელობით არის განპირობებული. კონსტიტუციური პრობლემის მიუხედავად, დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით თბილისი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების წესი და თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ კანონითა და „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით. ამრიგად, თბილისის სტატუსი გარკვეულწილად განსხვავდება სხვა თვითმმართველი ერთეულების სტატუსებისაგან, რაზეც ორგანული კანონი უთითებს „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონით დადგენილ დამატებით რეგულაციებზე, რითიც შესაძლოა დედაქალაქის სტატუსი დაკონკრეტდეს. ეს დაკონკრეტება გარკვეულწილად მოცემულია „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონში, თუმცა ამ მიმართულებით საჭირო იქნება კანონმდებლობის შემდგომი დახვეწა, რომელმაც უნდა ასახოს თბილისის, როგორც ქვეყნის დედაქალაქის როლი და მისი, როგორც განსაკუთრებული ტიპის თვითმმართველი ერთეულის სტატუსი.

ბოლო წლებში ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები იქნა გადადგმული. 2005–2000 წ. „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონში შეტანილი იქნა 15-ზე მეტი ცვლილება და დამატება, რომლებიც თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების გაზრდას ემსახურებოდა. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო 2009 წელს შეტანილი ცვლილება, რომლის თანახმად ქალაქ თბილისის მერი არჩეული უნდა იქნეს პირდაპირი კენჭისყრით. ამ საკითხს, გააჩნია უაღრესად დიდი მნიშვნელობა. ქალაქ თბილისის მერის პირდაპირი არჩევით იზრდება არა მხოლოდ მერის, არამედ თავად თვითმმართველი ერთეულის სტატუსიც. მერის პირდაპირი ანგარიშვალდებულება თბილისის მოსახლეობის წინაშე ზრდის მერის პასუხისმგებლობას და განაპირობებს მერის, როგორც თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელის განსაკუთრებულ როლს. მისი ეს განსაკუთრებული როლი გამომდინარეობს იქედანაც, რომ ქალაქი თბილისი არის არა მხოლოდ თვითმმართველი ერთეული, არამედ სახელმწიფოს დედაქალაქიც. ეს ვლინდება თბილისის ფუნქციებშიც. თუ სხვა თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებების კლასიფიკაციისას „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონი გამოყოფს თვითმმართველი ერთეულის საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებებს, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონი უფლებამოსილების ამ ორ სახესთან ერთად მიუთითებს სახელმწიფოსა და დედაქალაქის ერთობლივ უფლებამოსილებებზეც. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ თუ სხვა თვითმმართველ ერთეულის უფლებამოსილებებსა და სახელმწიფოს შორის შესაძლებელია გაივლოს მკვეთრი ხაზი უფლებამოსილებების გამოჯვანისთვის, თბილისში, როგორც ქვეყნის დედაქალაქში იგივეს გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია. დედაქალაქში თვითმმართველობის ჩვეულებრივი უფლებამოსილებები იღებენ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. ამიტომაც ეძლევა თბილისის თვითმმართველობის ინსტიტუციური სტრუქტურების დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას მეტი მნიშვნელობა და ამიტომაც იქნა გადადგმული ეს ნაბიჯი — პირდაპირი კენჭისყრით არჩეულიყო ქალაქ თბილისის მერი.

თბილისის ასეთი ორგანო სტატუსი, როგორც სახელმწიფოს დედაქალაქი და როგორც თვითმმართველი ერთეული, განაპირობებს მისი განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის სპეციფიურობას. თბილისში, როგორც სახელმწიფოს დედაქალაქში ადგილობრივ მნიშვნელობის საკითხს, როგორცაა გზები, წყალმომარაგება, სანიაღვრე სისტემები, ინფრასტრუქტურა, გააჩნია სახელმწიფო მნიშვნელობის დატვირთვა. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ თბილისში არ არსებობს ნაკლებად მწვავე პრობლემა, ყველა ის საკითხი, რომელიც სხვა თვითმმართველ ერთეულში შეიძლება ნაკლებ ყურადღებას იმსახურებდეს, თბილისში სრული სიმწვავეთ იჩენს თავს. აღნიშნული განსაზღვრავს თბილისის პრიორიტეტების უფრო ფართო სპექტრს ვიდრე ეს სხვა თვითმმართველი ერთეულებისთვისაა დამახასიათებელი.

როგორია რეგიონების(მხარეების) ეკონომიკური მოდელის თქვენეული ხედვა? (მისი ადგილი ცენტრალურ და რაიონულ დონეებს შორის სისტემაში, გუბერნატორის აპარატის ადგილი და დატვირთვა ეკონომიკურ და საბიუჯეტო პროცესებში, სამხარეო ბიუჯეტის ფორმირების შესაძლებლობა და მექანიზმები. მხარეებისა და ცენტრს შორის სიმეტრიული თუ ასიმეტრიული მოდელის ურთიერთობების მოდელის არსებობის შესაძლებლობა (შესაძლებელია თუ არა სხვა რეგიონებს, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე ცენტრთან განსხვავებული ურთიერთობების სამართლებრივი და პრაქტიკული მოდელები ქონდეთ?)

რეგიონი, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (გარდა აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა) საქართველოს კანონმდებლობით არ არსებობს, რადგან საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ტერიტორიული ერთეულების საკითხი უკავშირდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენას. ამიტომ, დღეს, რეგიონზე შეიძლება საუბარი მხოლოდ როგორც „დაგეგმარებით რეგიონზე“, ანუ გარკვეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა ერთობლიობაზე, რომელთაც გააჩნიათ საერთო ბუნებრივ-კლიმატური, ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობა. ასეთი „დაგეგმარებითი რეგიონების“ საჭიროება რეალურია და იგი გამომდინარეობს ამ „რეგიონში“ გაერთიანებული თვითმმართველ ერთეულთა წინაშე არსებული საერთო პრობლემების გადაჭრიდან. თვითმმართველ ერთეულთა განვითარება უშუალოდ არის დაკავშირებული რეგიონული განვითარების პროგრამების განხორციელებასთან. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დიდი ნაწილის გადაწყვეტა არაეფექტურია ცენტრალურ დონეზე და ასევე არაეფექტური იქნება თვითმმართველობის დონეზეც. სწორედ ეს არის ის საკითხები, რომლის გადაწყვეტაც უნდა იქნეს კონცენტრირებული „დაგეგმარებითი რეგიონის“ დონეზე. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ინსტიტუტები, რომლებიც შექმნილია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა ჯგუფებში, წარმოადგენს „დაგეგმარებითი რეგიონის“ მართვის და რეგიონული განვითარების პროგრამების განხორციელების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. ამ ინსტიტუტის შემდგომი განვითარების მთავრი მიმართულებაც რეგიონული განვითარების პროგრამების შედგენასა და განხორციელებასთანაა დაკავშირებული. ამავდროულად, რეგიონული განვითარება შეუძლებელია წარმოდგენილი იქნეს ქვეყნის რეგიონული განვითარების სტრატეგიის გარეშე. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი გადადგმული იქნა 2007 წელს, როცა სახელმწიფო ბიუჯეტში ცალკე მუხლად გამოიყო რეგიონული განვითარების ფონდი და დაიწყო მუშაობა სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ფორმირებისათვის. ამის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის დავალებით მომზადდა და უახლოეს მომავალში დამტკიცებული იქნება საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია. ეს იქნება უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელმაც უნდა განსაზღვროს ქვეყნის რეგიონების განვითარების კონცეპტუალური საფუძვლები, შექმნას ინსტიტუციური მექანიზმები რეგიონების განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის, შესაბამის პროგრამათა მომზადებისა და განხორციელებისათვის. რეგიონის განვითარების პროგრამა უნდა გახდეს სახელმწიფოს და თვითმმართველი ერთეულების ინტერესების თანხვედრის, დაბალანსების და ურთიერთშეთანხმების დოკუმენტი. ამ პროცესში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ინსტიტუტი იქნეს ახალ დატვირთვას ის ხდება არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენელი, არამედ შუამავალი სახელმწიფოსა და თვითმმართველობას შორის, რომლის ფუნქციაა სახელმწიფოს და თვითმმართველობის ინტერესების ურთიერთშეთანხმება და მათ საფუძველზე იმ საერთო საკითხების გამოკვეთა, რომელიც რეგიონული განვითარების პროგრამით უნდა განხორციელდეს. ეს პროგრამები შეიძლება დაფინანსდეს არ მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არამედ შესაძლებელია თვითმმართველი ერთეულების წილობრივი მონაწილეობაც (განსაკუთრებით იმ საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც თავისი არსით ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს წარმოადგენენ და დაკავშირებულნი არიან თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილების განხორციელებასთან. მაგალითად, რეგიონის დონეზე ნაგავგადაამუშავებელი ქარხნის აშენება, რომელიც მოემსახურება რეგიონის თვითმმართველ ერთეულებს). რეგიონული განვითარების ასე მჭიდრო კავშირი სახელმწიფო და თვითმმართველ ერთეულთან განაპირობებს ამ პროგრამების შემუშავებაში თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობის ინსტიტუციურ მექანიზმების შექმნასაც. მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს „რეგიონის“ დონეზე წარმომადგენლობით ორგანოს შექმნას და სამხარეო ბიუჯეტის ფორმირებას. ორივე ეს ინსტიტუტი დამახასიათებელია მხოლოდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისათვის და არა დაგეგმარებითი რეგიონისთვის. აღნიშნული საკითხი კი შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს მხოლოდ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

როგორი უნდა იყოს რაიონის ეკონომიკური მოდელები? (ეს უნდა იყოს ერთიანი უნიფიცირებული მოდელი თუ რაიონების სპეციფიკის მიხედვით უნდა განსხვავდებოდეს. როგორ დაფინანსდეს რაიონები მათი დეფიციტურობის ხარისხის გათვალისწინებით)

მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტების დოკუმენტი გამომდინარეობს ამ მუნიციპალიტეტის სპეციფიკური საჭიროებებიდან. აქედან გამომდინარე, ცხადია ყოველ მუნიციპალიტეტს ექნება სხვებისგან განსხვავებული პრიორიტეტების დოკუმენტი. ამავდროულად საჭიროა გარკვეული სტანდარტიზაცია, ანუ კანონმდებლობით იმის განსაზღვრა თუ რა საკითხებს უნდა არეგულირებდეს და მოიცავდეს თვითმმართველი ერთეულის განვითარების პრიორიტეტების დოკუმენტი. ასეთი საერთო სტანდარტი დადგენილია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“, რო-

მელშიც მოცემულია საკითხთა ის მინიმუმი, რომელსაც უნდა მოიცავდეს თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი. ამ მინიმუმის გათვალისწინებით თვითმმართველ ერთეულს შეუძლია დაადგინოს საკითხთა უფრო ფართო წრეც, რომელიც უნდა იქნეს ასახული პრიორიტეტების დოკუმენტში. ასეთი მიდგომა თვითმმართველ ერთეულს აძლევს სრულ შესაძლებლობას თავად, დამოუკიდებლად განსაზღვროს მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები. ამასთან სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი, თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტები გარკვეულ თანხვედრაში მოდიოდეს შესაბამისი რეგიონის განვითარების პროგრამასთან. ამიტომაც ითვალისწინებს „საბიუჯეტო კოდექსი“ პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენისას სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ჩართულობასაც. მაგრამ ეს ჩართულობა გამოიხატება მხოლოდ კონსულტირების ფორმით. თვითმმართველმა ერთეულმა დამოუკიდებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თავის განვითარების მიმართულებებსა და საჭიროებებზე. ეს არის კანონით დადგენილი პრინციპი, რომელიც გამომდინარეობს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მოთხოვნიდან.

რაც შეეხება თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების საფუძველზე მომზადებული ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემას, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს გათანაბრებითი ტრანსფერის მეშვეობით.

როგორია თქვენი პოზიცია ქონების გამიჯვნაზე ფედერალურ და ადგილობრივ დონეებს შორის (ეს საკითხი მეტ-ნაკლებად თითქმის რეგულირებულია მოქმედი კანონმდებლობითაც, თუმცა მისი პრაქტიკული აღსრულება გართულებული ან გაჭინაურებულია. რა მექანიზმებით შეიძლება მკვეთრად გაიმიჯნოს ქონება ცენტრსა და რეგიონს შორის და რა მეთოდით და რა მიზნით უნდა შეეძლოს რეგიონებს ამ ქონების განკარგვა).

სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ქონების გამიჯვნის საკითხი პირდაპირ კავშირშია უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხთან. ამ, ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური და თვითმმართველობისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა დაიწყო 2005 წლიდან, როცა მიღებული იქნა კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“. ამ კანონის თანახმად სახელმწიფოს მიერ თვითმმართველ ერთეულებს საკუთრებაში ეძლევათ ის ქონება, რომელიც საჭიროა მათი საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად. ქონების გადაცემის საკითხი საკანონმდებლო დონეზე (და ძირითადად პრაქტიკულადაც) გადაწყვეტილია. ქონების გადაცემასთან დაკავშირებით ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ამ ქონების ინვენტარიზაციასა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებასთან, რაც ითხოვს როგორც დროის, ისე მატერიალურ რესურსებს. სწორედ ეს მიზეზი აფერხებს თვითმმართველი ერთეულისათვის მთელი რიგი ობიექტების, განსაკუთრებით ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის ფონდის გადაცემას (ტყეების ინვენტარიზაცია საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია).

როგორია გადასახადების გამიჯვნის და წილობრივი გაყოფის თქვენეული ხედვა? (ბოლო წლებში გამოკვეთილი ტენდენციის მიხედვით, გადასახადების უმეტესობა ცენტრალური ბიუჯეტის შევსების წყაროდ იქცა. რაიონებს საგადასახადო ბაზა სულ უფრო მეტად უვიწროვდებათ და მათ გამგებლობაში მხოლოდ რთულად ადმინისტრირებადი და მწირი სარესურსო ბაზის მქონე გადასახადები რჩება. არსებობს თუ არა იდეა გადასახადების რა ტიპის გადანაწილება იქნება უფრო ეფექტიანი და შესაძლებელია თუ არა ამა თუ იმ გადასახადის წილობრივად გაყოფა ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის).

გადასახადების წილობრივი გაყოფის არსებობის პრაქტიკა ქვეყანამ უკვე გაიარა 1998–2004 წ.წ. ამ წლების საბიუჯეტო ფორმირების პროცესის ანალიზიც ადასტურებს ასეთი პრაქტიკის არაეფექტურობას. იყო პერიოდი, როცა სახელმწიფო გადასახადების უმეტესი ნაწილი (მათ შორის დღე-ც კი) წილობრივად რჩებოდა რაიონულ ბიუჯეტებში. შედეგად მივიღეთ ის, რომ ცენტრალური უწყება, რომელიც იყო უფლებამოსილი ამ გადასახადების ამოღებაზე ბუნებრივად დაინტერესებული იყო ამოეღო ძირითადად მხოლოდ სახელმწიფო წილი და ნაკლებად ინტერესდებოდა იმ წილის ამოღებით, რომელიც უნდა დარჩენილიყო რაიონულ ბიუჯეტში. პრობლემა მდგომარეობს არა იმაში თუ რამდენი სახეობის გადასახადი ან რამდენი სახეობის გადასახადიდან წილი რჩება ადგილობრივ ბიუჯეტში, არამედ იმაში თუ რამდენად საკმარისია ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები მათი უფლებამოსილებების განსახორციელებლად. გადასახადების ადმინისტრირების მხრივ ცალსახად ეფექტურია, როცა ყველა გადასახადი ამოდის სახელმწიფო ბიუჯეტში და შემდეგ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება ამოღებული თანხების გადანაწილება თვითმმართველ ერთეულებზე. აქ შეიძლება დაისვას საკითხი მხოლოდ იმის შესახებ თუ რამდენად ეფექტური და სრულყოფილია გათანაბრების ტრანსფერის ფორმულა, რომლის მიხედვითაც ხდება სახელმწიფო ბიუჯეტში ამოღებული თანხების გადანაწილება თვითმმართველ ერთეულებზე. სახელმწიფოს ვალია იზრუნოს თითოეული მუნიციპალიტეტის თუ ქალაქის განვითარებაზე, განურჩევლად იმისა ამ თვითმმართველ ერთეულს გააჩნია მნიშვნელოვანი საგადასახადო ბაზა თუ არა. ამის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს გააჩნია საკმარისი რესურსები გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მისცეს რესურსები თვითმმართველ ერთეულს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად. გადასახადების ადგილებზე დატოვება არა მხოლოდ შეამცირებს გათანაბრებითი ტრანსფერის ფონდს, არამედ შექმნის აშკარა უთანაბრობას თვითმმართველ

ერთეულებს შორის. იქნება დისპროპორცია მოქალაქეთათვის მომსახურების მიწოდების კუთხით სხვადასხვა თვითმმართველ ერთეულებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ცალკეულ მუნიციპალიტეტების დაცლა. ამდენად პრობლემა დგას არა იმაში რა გადასახადი ან გადასახადის რა წილი უნდა დარჩეს თვითმმართველ ერთეულს, არამედ იმაში თუ რამდენად ობიექტურად ხდება გათანაბრებითი ტრანსფერით თანხების გადანაწილება თვითმმართველ ერთეულებს შორის. გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა უკვე რამოდენიმეჯერ იქნა შეცვლილი. შეიძლება ითქვას, რომ მუდმივად მიმდინარეობს ამ ფორმულის შემდგომ დახვეწაზე მუშაობა, თუმცა მხოლოდ ფორმულის დახვეწა რა თქმა უნდა საკმარისი ვერ იქნება. მთლიანად მოსაწესრიგებელია სტატისტიკური აღრიცხვა. სტატისტიკური მონაცემები, რომელთა საფუძველზეც ხდება ფორმულის მეშვეობით გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის გამოთვლა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე სრულყოფილი, რაც ცხადია გავლენას ახდენს გათანაბრებითი ტრანსფერის ობიექტურობაზე.

რა ტიპის საგადასახადო და სხვა სახის სტიმულების შექმნა შეიძლება რეგიონებში საქმიანი აქტიუბის წასახალისებლად? (რეგიონებში საქმიანი აქტიუბა საკმაოდ დაბალია. არსებული მდგომარეობის გამოსაცოცხლებლად რა სტიმულირების მექანიზმები შეიძლება ამოქმედდეს, რომ მოხდეს ბიზნესის რეგიონებში დამაგრება, სამუშაო ადგილების, პროდუქციის, სერვისის, გადასახადების ადგილებზე გენერირება და ადგილობრივი ბიუჯეტების გაძლიერება)

საკითხი ნამდვილად ძალზედ მნიშვნელოვანი და პრობლემატურია. მაგრამ დასაქმება, ბიზნესის სტიმულირება არის სახელმწიფოს უმთავრესი საზრუნავი და ამ საკითხის ადგილებზე გადატანა „გადასახადების ადგილებზე გენერირება და ადგილობრივი ბიუჯეტის გაძლიერება“ არც მართებული და არც ამ პრობლემის გადაწყვეტის გზა ვერ იქნება. ფაქტია, რომ საქმიანი აქტიუბა მაღალია მხოლოდ დედაქალაქსა და მეტ-ნაკლებად რამოდენიმე დიდ ქალაქში. ასეთი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად. რეგიონების თანაბარი განვითარება არის სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. ამ მიზნით საჭიროა ე.წ. პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება დერეისული და ნაკლებად განვითარებული რეგიონების მიმართ. ცხადია, ამგვარი პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს როგორც შესაბამისი საინვესტიციო პოლიტიკა, ასევე საგადასახადო შეღავათები, რომელებიც მისცემს სტიმულს ადგილებზე ბიზნესის განვითარებას. მაგრამ ამგვარი ღონისძიების გატარება შესაბამისი რეგიონების სტრატეგიული განვითარების გეგმების გარეშე ვერ იქნება შედეგის მომტანი. საქართველოს მთავრობაში უკვე მომზადდა სახელმწიფო რეგიონული განვითარების სტრატეგია, რომლის საფუძველზეც უნდა დაიწყოს თითოეული რეგიონის განვითარების სტრატეგიული პროგრამების მომზადება. სწორედ ამ პროგრამების საფუძველზე უნდა დაიხსნას ის ღონისძიებები (მათ შორის თუნდაც საგადასახადო შეღავათები), რომელებიც რეალურად შექმნიან ადგილებზე ბიზნესის წახალისების პირობებს.

როგორ უნდა მოხდეს არსებულ ეკონომიკურ რეალობაში (მაგალითად თავისუფალი ეკონომიკური ზონები, უკონტროლო ტერიტორიები და ა.შ.) ადგილობრივი შემოსავლების გენერირების ალტერნატიული მეთოდების შემუშავება? (საქართველოს ზოგიერ რეგიონებში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ამოქმედების შედეგად შექმნილია საგადასახადო „ოაზისები“, სადაც თვისებრივად განსხვავებული ეკონომიკური რეჟიმები მოქმედებს, ვიდრე ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე. გარდა ამისა არსებობს ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიები, სადაც პოლიტიკური და ეკონომიკური რეალობა თვისობრივად სრულიად განსხვავებულია ქვეყნის სხვა რეგიონებისაგან. რა მექანიზმებით შეიძლება მათი ქვეყნის დანარჩენ სივრცესთან ეკონომიკური ინტეგრაციის წახალისება.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნის მიზანი სწორედ ასეთი საგადასახადო „ოაზისების“ შექმნაა, რათა მოხდეს ამ ზონებში ბიზნესის წარმოების წახალისება, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ამ ზონის მიმდებარე ტერიტორიის ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს ზონები ცხადია ექცევიან თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მაგრამ მათზე თვითმმართველობის უფლებამოსილება არ ვრცელდება. არც ადგილობრივი და არც სახელმწიფო გადასახადები ამ ზონაში წარმოებული საქმიანობიდან არ შეიძლება იქნეს ამოღებული.

რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიების მიმდებარე რეგიონებს, ცხადია კონფლიქტურ ზონასთან მათი სიახლოვე მნიშვნელოვნად უშლის ხელს მათ ეკონომიკურ განვითარებას. პრობლემა მდგომარეობს არა მათ ქვეყნის დანარჩენ სივრცესთან ეკონომიკურ ინტეგრაციაში (ასეთი პრობლემა ნამდვილად არ არსებობს), არამედ ამ ტერიტორიებზე ინვესტიციების მოზიდვის პრაქტიკულად შეუძლებლობასა და ბიზნესის განუვითარებლობაში. ეს არის არა თვითმმართველობის, არამედ სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემა. ამ პრობლემის გადაწყვეტა მდგომარეობს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმდებარე რეგიონებში სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების გაზრდით. კერძოდ, ამ რეგიონებში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტები ყოველწლიურად იზრდება, რომლის განხორციელებაშიც ძირითადად ჩართულია ადგილობრივი მოსახლეობა. ასევე შესაძლებელია გარკვეული საგადასახადო შეღავათების მექანიზმების ამოქმედებაც, რომელიც მოახდენს ოკუპირებულ ტერიტორიებთან სიახლოვეთ გამოწვეულ პრობლემების გარკვეულწილ კომპენსირებას

როგორ გესახებათ ფორს-მაჟორულ სიტუაციებში მოქმედების სქემა და პასუხისმგებლობების გაყოფა ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის? (ბუნებრივი კატაკლიზმების, ტექნიკური კატასტროფების და სხვა ფორს-მაჟორულ სიტუაციებში რეგიონებს არ გააჩნიათ სტიქიით და სხვა მოვლენებით გამოწვეული ზარალის აღმოფხვრის და ნეიტრალიზების რესურსები და მთლიანად ცენტრალურ ხელისუფლებაზე არიან დამოკიდებულნი. ეს კი პრობლემებზე დროულ რეაგირებას ხშირად აფერხებს და ართულებს. რა მექანიზმით შეიძლება ამ პრობლემის აღმოფხვრა?)

ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციაზე პასუხისმგებლობების გადანაწილება ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის არა სწორია. სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია ხდება სახელმწიფო ხარჯებით (სპეციალური ტრანსფერი). ადგილობრივი თვითმმართველობა ცხადია მონაწილეობს შედეგების ლიკვიდაციაში მაგრამ მისი როლი უფრო დამხმარის ფუნქციით შემოიფარგლება. ეს სავსებით მართებულია, რადგან არ შეიძლება თვითმმართველობას დაეკისროს სტიქიით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია, რომელსაც შეიძლება თვითმმართველი ერთეულის მთელი ბიუჯეტიც არ ეყოს. რაც შეეხება სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის როლს, იგი არის ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი და ცხადია უპირველესად სწორედ იგი გამოდის ცენტრალური ხელისუფლების სახელით სტიქიასთან ბრძოლის და შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ორგანიზების ხელმძღვანელად. „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში გასულ წელს შეტანილი იქნა ცვლილებები და დამატებები, რომლის მიხედვითაც კანონს დაემატა სპეციალური მუხლი საგანგებო სიტუაციების საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის უფლებამოსილებების შესახებ. ამ კანონის საფუძველზე სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში შეიქმნა სპეციალური სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქციაა სამშველო და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების კოორდინაცია.



სანაჩეთი, თბილისი 0186. ვანა-ფანაძის 71, BCV.

ბლოკი 8, მუხი სანაჩეთი, სანაჩეთი 7, ოფისი 7.

ტელ: (995 32) 207 305

ფაქსი: (995 32) 207 305

ელ-ფოსტა: info@eprc.ge

www.eprc.ge